

სომხეთს რუსული გაზის მიწოდება შეეჩერდა

საქართველომ სომხეთისთვის გაზის ტრანზიტული მიწოდება გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო შეწყვიტა. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ცნობით, გარდაბნის რაიონში 1000-მილიმეტრიან გაზის მაგისტრალზე მომხდარი ავარიის მიზეზით სომხეთისთვის რუსული გაზის მიწოდება შეწყვეტა. გაზსადენის ამ მონაკვეთზე პროფილაქტიკური სამუშაოები თებერვლის ბოლოს იგეგმებოდა.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურის თქმით, "მაგისტრალზე არის დაზიანება, შესაბამისად, გაზის გაყვანა საკმაოდ დიდია. ამიტომ დღეს დილას სომხეთში რუსული გაზის ტრანზიტი სრულად შეწყვეტიტო. წინასწარი შეფასებით, აღდგენით სამუშაოებს სული დიდ დასჭირდება." რაც შეეხება საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენზე დიდი მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ის ზაფხულში შეერთებული შტატების ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება.

ამ დროისთვის მაგისტრალურ გაზსადენზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმირებული არიან როგორც სომხეთი, ასევე რუსეთის ფედერაცია. სომხეთს არ შეექმნება პრობლემები, რადგან ამ ქვეყანაში არსებული მარაგი სომხეთის სრულად მომარაგებისთვის საკმარისია.

ენერგეტიკის მინისტრი საქართველოს მომარაგებაზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ "საქართველოს მომხმარებელს გაზომარაგებაში არანაირი პრობლემა არ შეექმნება, რადგან დღეისთვის საქართველოს გაზომარაგებას 100 პროცენტით აზერბაიჯანი უზრუნველყოფს." საკუთარი ინფორმაცია

პასუხი პუტინის განცხადებაზე

რუსეთ-უკრაინას შორის არსებული "გაზის ომის" გამო ევროპის რამდენიმე ქვეყნის გაზომომარაგება მნიშვნელოვნად შემცირებულია. ორი დღის წინ სწორედ ამ საკითხზე საუბრისას რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა პუტინმა განაცხადა, რომ გაზის ფასზე უთანხმოება პოლიტიკური დაპირისპირებით არ არის განპირობებული. პუტინმა თავისი მოსაზრების გასამყარებლად საქართველოს მაგალითი დაასახელა. "ჩვენ არ ვუკავშირებთ პოლიტიკურ საკითხებს ეკონომიკურს. პოლიტიკური პრობლემების მიუხედავად რუსეთი საქართველოს მაინც აწვდის ბუნებრივ აირს," - განმარტა პუტინმა.

ამ პოზიციის საპასუხოდ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა, რომ "საქართველო არ იღებს გაზს რუსეთიდან. ქვეყანა მთლიანად მარაგდება აზერბაიჯანული გაზით, მათ შორის შაჰ-დენიზიდან და აზერბაიჯანული სახელმწიფო კომპანია "სოკარიდან", რომელთანაც საქართველოს ხელისუფლებამ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა."

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ევროპის ბევრი ქვეყანაში შეიქმნა გაზომომარაგების პრობლემა, ხოლო საქართველომ ენერგორესურსების მოწოდების წყაროების დივერსიფიცირება რამდენიმე წლის წინათ მოახერხა. "არ ვიცი, რას გვამადლის პუტინი, ჩვენ ბუნებრივი აირით რუსეთის გარეშეც ვართ უზრუნველყოფილინი," - განმარტა მიხეილ სააკაშვილმა. საკუთარი ინფორმაცია

დავით სიხარულიძე რობერტ გეითსს შეხვდა

საქართველოსა და აშშ-ს შორის ხელმოსაწერი ქარტიის დეტალები საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით სიხარულიძემ აშშ-ს თავდაცვის მინისტრ რობერტ გეითსთან განიხილა. საუბარი იყო იმ პუნქტებზე, რომლებიც ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობას ეხება. "შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოს სწრაფვას ნატო-ში განწევრიანებისადმი. ასევე ვისაუბრეთ უსაფრთხოების რიგ საკითხებზე. ჩვენი ამოცანაა თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობა და ურთიერთობების გაღრმავება," - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა. ვი-ეიჩ-ენი

რუსეთმა ენ სამხრეთ ოსეთში ახალი სამხედრო ბაზა გახსნა

რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონში ახლად გახსნილი სამხედრო ბაზის ამსახველი ვიდეომასალა სააგენტო "როიტერმა" გაავრცელა. "ყაზარმები ისე კარგადაა მოწყობილი, რომ მსგავსი კომფორტული გარემო რუს სამხედროებს არასდროს ჰქონიათ. ვიდეომასალის გავრცელება მიზნად ისახავს იმის დემონსტრირებას, თუ რა კარგ გარემოში უწევთ ახალწვეულებს სამხედრო სამსახური," - აღნიშნავს "როიტერის" ჟურნალისტი. პირველი

იტალიამ კრიზისიდან გამოსავალი აზერბაიჯანულ გაზში იპოვა

იტალიური ენერგოკომპანია "ედისონ სპა"-ს აღმასრულებელმა დირექტორმა უმბერტო გუადრინომ განაცხადა, რომ "იტალიამ მიიღო გადაწყვეტილება, დაიწყო გაზის იმპორტი აზერბაიჯანიდან. იტალიას გაზის ორი თვის მარაგი აქვს, ამიტომ ჩვენი ქვეყანა, ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, რუსეთიდან გაზის იმპორტზე ნაკლებად დამოკიდებული," - აღნიშნა გუადრინომ. მისივე თქმით, იტალია გაზს, აზერბაიჯანის გარდა, ალჟირიდან და კატარადან შეიტანს. პირველი

პირველი ბავარდიანი

სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა ბევრად გაძლიერდა პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის პერიოდში, "მაგრამ მინდა, იცოდეთ, რომ ამერიკაში ყოველთვის გყავთ მეგობრები."

თავის მხრივ, გროგოლ ვაშაძემ ქარტიის ხელმოწერას ისტორიული უწოდა და განსაკუთრებით აღნიშნა დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა.

"მაღლიერნი ვართ იმისთვის, რასაც აშშ ჩვენთვის აკეთებს. პარტნიორობა არა მხოლოდ უფლებებია, არამედ მოვალეობებიც. ჩვენ ვიცით, რომ უნდა ვიყოთ ღია და ლიბერალური, დემოკრატიული საზოგადოება. აშშ-სთან ერთად ჩვენ შევძლებთ ამ მიზნის მიღწევას," - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

როგორც "24 საათს" აშშ-ში საქართველოს ელჩმა ბათუ ქუთელიამ განუცხადა, ხელმოწერილი ქარტია ითვალისწინებს აშშ-სა და საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობას მთელი რიგი მიმართულებე-

ბით, მათ შორის - უსაფრთხოების სფეროში.

კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, ვაშინგტონი თბილისს დახმარებას გაუწევს ქვეყნის "თავდაცვისუნარიანობის შესაძლებლობების განვითარებაში," ასევე შეიარაღებული ძალების ნატო-სთან თავსებადობის მიღწევაში.

"აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობა თავისთავად უსაფრთხოების გარანტიაა. მით უმეტეს, ქარტიაში აღნიშნულია, რომ აშშ-ს ინტერესებში შედის საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა," - განაცხადა ქუთელიამ.

ანალოგიურ დოკუმენტს 19 დეკემბერს აშშ-სა და უკრაინას შორის მოეწერა ხელი. პოსტ-საბჭოთა სივრცეში ამგვარი შეთანხმებების პირველი პრეცედენტი აშშ-სა და ბალტიის ქვეყნებს შორის 90-იან წლებში გაფორმებული დოკუმენტები იყო, რომელთა თანახმადაც, აშშ-მ ამ ქვეყნებში რეფორმების, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და ნატო-სთან ინტეგრაციის ხელშეწყობის ვალდებულება აიღო. ამის შედეგი ბალტიის ქვეყნების ნატო-ში განწევრიანება გახდა.

საქართველოსთან და უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიების ხელმოწერა, ფაქტობრივად, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ვადის მიწურულს მოხდა. ორივე დოკუმენტში გათვალისწინებული პირობების შესრულება ამერიკის უკვე ახალ ადმინისტრაციას მოუწევს. გუშინ გაფორმებულ ქარტიაში აშშ-ს მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა, ასევე საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში განწევრიანების ხელშეწყობის "ქალაქზე" გაფორმებული განზრახვა, რასაკვირველია, გამაღიზიანებელი გახდება კრემლისთვის.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რუსული გამოცემა "კომერსანტის" ცნობით, აშშ-საქართველოს დაახლოებას "ყურადღებით აკვირდებიან." გამოცემას საგარეო უწყებიდან წყარომ განუცხადა, რომ, თუ მომავალ შეთანხმებაში გათვალისწინებული იქნება საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზის შექმნა, ამაზე რუსეთის რეაქცია "ძალიან სერიოზული იქნება."

"საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს

შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების გაფორმება რუსეთისთვის, რა თქმა უნდა, არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ არა მგონია, რომ დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ, რუსეთმა ამ ფაქტისადმი საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება ღიად დააფიქსიროს," - განაცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-თან საუბრისას "სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის" ექსპერტმა არჩილ გეგეშიძემ.

გეგეშიძე ვარაუდობს, რომ რუსეთი შეეცდება, საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება სხვა სახით გამოავლინოს. მისი აზრით, უკრაინა-აშშ-ს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერაზე მოსკოვის პასუხი სწორედ რუსეთ-უკრაინის გაზის სკანდალი გახდა.

თუმცა, ექსპერტის განცხადებით, ძნელია წინასწარ იმის თქმა, რა სახით გამოვლინდება რუსეთის აგრესია საქართველოსა და აშშ-ს მიერ დოკუმენტის გაფორმებაზე. "მაგრამ ამას მოსკოვის რეაქცია აუცილებლად მოჰყვება," - ასკვნის არჩილ გეგეშიძე.

ყველაზე მსხვილი ინვესტორი - სახელმწიფო

პირველი ბავარდიანი

ამ საქმეში მთავარ პრობლემად პრეზიდენტი იმ გარემოებას ასახელებს, რომ ბანკებში კრედიტები "გაიჭება". მართალია, დღეს ბანკებს საკმარისი ფინანსური რესურსები გააჩნიათ, მაგრამ, როგორც მიხეილ სააკაშვილი მის ხელთ არსებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით აცხადებს, ბანკები გაურკვეველობაში არიან და ეკონომიკური ოპტიმიზმი არ გააჩნიათ.

"ბანკებს ეშინიათ არა მხოლოდ კრედიტების გაცემის, არამედ ერთმანეთისთვის ფულის სესხებისაც კი," - შენიშნავს პრეზიდენტი.

არსებულ სიტუაციაში ერთადერთ გამოსავლად და სწორ რეცეპტად საქართველოს პრეზიდენტი სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადებას ასახელებს.

"დღეს ქვეყანაში ყველაზე მსხვილი ინვესტორი სახელმწიფო უნდა გახდეს," - მიიჩნევს მიხეილ სააკაშვილი.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მომავალი ერთი თვის განმავლობაში სახელმწიფო მილიარდი ლარის ღირებულების პროექტებზე ტენდერებს გამოაცხადებს. აქედან 300 მი-

ლიონი ლარი საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას მოხმარდება, 160 მილიონი - სხვადასხვა მცირე პროექტებს, მათ შორის ირიგაციის გაუმჯობესების და ნაპირსამაგარ სამუშაოებს, 120 მილიონი - დევნილებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, 120 მილიონი - თბილისში მუნიციპალური პროგრამების განხორციელებას, 120 მილიონი - მუნიციპალური განვითარების ფონდს, 66 მილიონი - რეგიონების ფონდს, 20 მილიონი ლარი - სოფლის დახმარების პროგრამებს და ა.შ.

თავის მხრივ, სახელმწიფოს მიერ ერთი მილიარდი ლარის ინვესტიცია დაახლოებით 25-30 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას შეუწყობს ხელს...

ფინანსთა მინისტრის ნიკა გილაურის განმარტებით, ამ თანხის ხარჯვა უკვე მომავალი თვიდან დაიწყება. მისივე თქმით, 2009 წელს, ეკონომიკური სტიმულირების პაკეტის ოდენობა მთლიანობაში 2,2 მილიარდი ლარი იქნება. გილაურის განცხადებით, ამ 2,2 მილიარდში შედის 250 მილიონი ლარი, რომელიც საქართველოს ეკონომიკაში საშემოსავლო გადასახადის 20 პროცენტამდე შემცირების წყალობით უნდა დარჩეს, ასევე დონორებიდან

მიღებული თანხა 450 მილიონი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, მილიარდნახევარი ლარი 2009 წლის ბიუჯეტშია განერილი.

სახელმწიფოს მხრიდან მოსალოდნელი ტენდერების გამოცხადებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტი სააკაშვილი მოითხოვს, რომ ისინი მაქსიმალურად საჯარო იყოს.

"მკაცრად გავაკონტროლებთ, რომ ტენდერები პატიოსნად ჩატარდეს," - აღნიშნავს პრეზიდენტი.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მიხეილ სააკაშვილი იმითაც დაინტერესდა, თუ რის საფუძველზე საუბრობს ვლადიმირ პუტინი რუსეთის მიერ საქართველოს გაზით მომარაგებაზე. მით უმეტეს, რომ, როგორც ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური დაუვჯითებით აღნიშნავს, ბუნებრივი აირით საქართველოს მომარაგება რუსეთიდან არ ხორციელდება.

"ღმერთმა მაგ სიმართლით ატაროს პუტინი," - ენერგეტიკის მინისტრისგან შემოთ აღნიშნული განმარტების მიღების შემდეგ ასეთ "საშობაო გზავნილს" უგზავნის რუსეთის პრემიერს მიხეილ სააკაშვილი.

საქართველოს პრეზიდენ-

ტი, უკრაინის მაგალითზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ გეოპოლიტიკური შანტაჟისგან დარისკებისგან არავინ არის დაცული.

"ზაფხულში საქართველო გახდა რუსული აგრესიის მსხვერპლი, ახლა კი - მთელი აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე წევრი არ ესწრებოდა, რამაც პრეზიდენტის ყურადღება დაიმსახურა.

"რამდენიმე ადამიანი მივლინებაში იმყოფება, რამდენიმე კი ცუდად არის. გეგა მგალობლიშვილი ერთი თვე იდგა ფეხზე და ბოლოს "ჩანჯა". გუშინ დავით ბაქრაძე ერთდროულად ორ კლინიკაში მოხვდა. მინდა გკითხოთ - რა გჭირთ ხალხო? დროა, ჩადგეთ ფორმაში, ადრე დაიძინოთ. საქართველოში ავადმყოფობისა და "ჩანოლის" დრო არ არის, ყველა უნდა ვიყოთ ფორმაში," - ეკონომიკური გამოწვევების "გამკლავების" აუცილებელ პირობად მიხეილ სააკაშვილს თავისი სამთავრობო გუნდის "ფიზიკური კონდიციების" ამაღლება მიაჩნია.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთი "24 საათის" გამოცემაელი შპს "მევა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშაშვილი, პაატა მუხაშვილი.

რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: შაჰალაშვილი (საზოგადოება, Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშვილი (რეგიონი), ანა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რედაქცია და რედაქციის მისამართი:** ირაკლი ჯანაშიანი ირაკლი ლევაჯა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალვაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყავლაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელი** ქ.51. **ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge

ომი ღაზაში და გაკვეთილები რვენთვის

პირველი გვარდიან

ისრაელი არ არის ჩვენი ამდენად გამოკვეთილი მოკავშირე, რადგან რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებას უფროსი, მაგრამ რუსეთის ისრაელისგან ნაყიდი იარაღითაც ვეომებოდით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ყველაზე მკვეთრად დაგმეს რუსეთის ქმედება და ჩვენს ყველაზე საიმედო მოკავშირედ რჩება. ევროპა ცდილობს, ბალანსი დაიცვას ჩვენს მხარდაჭერასა და რუსეთის არწყენინებას შორის. ამის მსგავსად, ღაზაში, შეერთებული შტატები აშკარად ამართლებს ისრაელის მოქმედებას, ხოლო ევროპა ცდილობს, არც მწვადი დანვას და არც შამფური და ორივე მხარეს თანაბრად მოუწოდებს ძალადობის შეწყვეტისკენ.

მოკლედ, ყველა ძირითადი მოთამაშე დაახლოებით ისევე განლაგდა, როგორც შარშან აგვისტოში. ყველაფერი დღესავით ნათელია: ისრაელი ჩვენი და კარგი, ჰამასი - იმათი და ცუდი. კაცმა რომ თქვას, ჩემი პირადი მოსაზრებაც და ემოციური დამოკიდებულებაც ასეთია. მეტი რაღა სათქმელი?

მორალური ომი

არა, სათქმელი და სამსჯელო ახლა იწყება. თანამედროვე ომები - ზოგი ჩემი მეგობარი მათ "პოსტმოდერნულს" უწოდებს - იმით გამოირჩევა, რომ ისინი არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ მედიაშიც მიმდინარეობს. ეს ნიშნავს, რომ მებრძოლი მხარეების მიზანი მხოლოდ ის კი არაა, მოწინააღმდეგეს რაც შეიძლება მეტი ჯარისკაცი მოუკლან და ტერიტორიული კონტროლის არე გაიფართოვონ, არამედ მსოფლიო საზოგადოებას დაუმტკიცონ, რომ მართლები არიან, მეორე მხარე კი - მტყუანი. ამ აზრით, თანამედროვე ომები მორალური ომებია. ერთმანეთს არა მხოლოდ ტანკები და თვითმფრინავები უპირისპირდება, არამედ - ღირებულებები. ძნელი სათქმელია, რომელი გამარჯვებაა საბოლოო ჯამში უფრო მნიშვნელოვანი - წმინდა სამხედრო თუ მორალური და ფსიქოლოგიური. ამიტომ, თანამედროვე ომების შედეგიც კი საკამათო ხდება ხოლმე. სროლები მთავრდება, ხოლო პოლიტიკოსები და ექსპერტები კიდევ დიდხანს დავობენ, ვინ მოიგო და ვინ წააგო. მაგალითად, ამ აზრით აგვისტოს ომი რუსეთმა პირწმინდად წააგო, მაგრამ ბოლომდე ვერც ჩვენ გავემარჯვეთ.

ამ მხრივ, დღეს მიმდინარე კონფლიქტი შეიძლება კიდევ უფრო რთული იყოს, ვიდრე ჩვენი ომი რუსეთთან. ე.წ. "პროგრესული კაცობრიობის" მხრიდან მორალური ზენოლის უპირველესი ობიექტი ჰამასი კი არა, ისრაელია. მსოფლიო ტელევიზიები აჩვენებენ ისრაელის დაბომბვის შედეგად დაშავებულ და დაღუპულ არაბ ბავშვებს, მათ კუბოებთან მოქვითინე ადამიანებს. მერე წამყვანები მკაცრ შეკითხვებს უსვამენ ისრაელის ოფიციალურ წარმომადგენლებს, როგორ მოხდა, რომ თქვენი ყუმბარა სკოლას მოხვდაო, ეს უკანასკნელნი კი გაქვავებული სახით იმართლებენ თავს. ისრაელის ხელისუფლებას არა მხოლოდ მსოფლიო მედია, არამედ მათივე საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციები და მემარცხენე ოპოზიცია სთხოვს პასუხს.

ვითარების პარადოქსულობა აქ ის არის, რომ ობიექტურად ამ ომმა წარმოაჩინა მორალური უფსკრული ისრაელსა და ჰამასს შორის. სანამ ისრაელი ღაზაზე შეტევას სამოინწყებდა, სექტორის მაცხოვრებლებმა მასობრივად მიიღეს სმს შეტყობინებები არაბულ ენაზე, ჰა-



AFP - 2009

მასის ობიექტებს უნდა დავარტყათ და მოერიდეთ. სამხედრო თვალსაზრისით ეს ნამგებიანი იყო ისრაელისთვის, რადგან შეტევა ყოველთვის მოულოდნელი ჯობია. მაგრამ ის მორალური პოზიცია, საიდანაც ისრაელი ომობს, მას სხვაგვარად მოქცევის საშუალებას არ აძლევს. მისი სისხლხორცული ინტერესია ჰამასის განადგურება ან რადიკალურად დასუსტება, მაგრამ მან ისიც იცის, რომ ომში ყოველი მოკლული მშვიდობიანი არაბი პოლიტიკურად ისრაელის დანაკარგს და ჰამასის მონაპოვარს ნიშნავს.

ჰამასის მორალური პოზიცია ზუსტად საპირისპიროა. როგორც ერთ-ერთმა მიმომხილველმა სწორად შენიშნა, ჰამასს, რა თქმა უნდა, უხარია, რაც შეიძლება ბევრი ებრაელი განწყდეს (სასურველია, სულ არავინ დარჩეს), მაგრამ ამ ეტაპზე რაც შეიძლება მეტი არაბის, განსაკუთრებით კი ქალების და ბავშვების, დაღუპვა კიდევ უფრო აძლევს ხელს. მათ იციან, რომ ისრაელს რუსეთისგან ნაყიდ არაბულ იარაღზე მეტად "პროგრესული კაცობრიობის" მორალური ზენოლა აბრკოლებს, ამ ზენოლას კი ყველაზე მეტად მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლის რიცხვი აძლიერებს. ამიტომ ჰამასი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ისრაელის ბომბებს რაც შეიძლება მეტი ქალი და ბავშვი დაახვედროს.

მოკლედ, ისრაელის ამოცანაა ორგანიზაცია ჰამასის რაც შეიძლება მეტი წევრის განადგურება - იმით, რომ ჰამასი ისრაელის მშვიდობიან ქალაქებს ყუმბარებს უშენს ან მათ წინააღმდეგ ტერორისტულ აქტებს აწყობს. მაგრამ ამავე დროს ისრაელს უნდა, რომ ჰამასის წევრების გარდა, რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი დაიხრცოს - არა მხოლოდ ისრაელის ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოსახლეობა, არამედ რაც შეიძლება ნაკლები არაბი, რომელიც ჰამასის წევრი არ არის. ჰამასის ინტერესია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაიხრცოს ყველა მხარეს: რაც შეიძლება მეტი ებრაელი, რაც შეიძლება მეტი არაბი, დასავლეთის წარმომადგენელთა მხრიდან მსხვერპლი ხომ მთლად მისწრება იქნებოდა. ერთადერთი, ჰამასს საკუთარი წევრების მასობრივი ამოხრცვა არ აძლევს ხელს, თუმცა გარკვეულ ფარგლებში არც ესაა სანერვიულო: უმუშევარ თავზეხელაღებულ არაბ ახალგაზრდებს რა გამოლევს, ახალი ტერორისტი მებრძოლებიც დაიზრდებიან...

რატომ გმობენ ისრაელს, ანუ პროგრესული კაცობრიობის სიბუცის შესახებ

ასეთ პირობებში, რატომაა მორალური აღმფოთების უპირატესი ობიექტი ისრაელი? არა მგონია აქ ანტიემიტიზმთან გვეკონდეს საქმე,

როგორც ზოგი ებრაელი კომენტატორი ფიქრობს: ცხადია, ევროპაში ანტიემიტიზმიც არიან, მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი. უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია ანტიამერიკანიზმი: ისრაელს უყურებენ, როგორც ამერიკის პროტექტუს, მიიჩნევენ (სწორად), რომ ამერიკის მხარდაჭერის გარეშე ისრაელი ამდენს ვერ გაბედავდა, ამიტომ ამერიკის წინააღმდეგ გაღიზიანება ისრაელის წინააღმდეგ გადააქვთ.

მაგრამ მთავარი აქ სხვა ფაქტორია. როგორც ჟურნალისტიკის პირდაპირ ეუბნებიან ისრაელის პოლიტიკოსებს, ჰამასი რომ ტერორისტული, ანუ კრიმინალური ორგანიზაციაა, ეს ხომ ყველამ ვიცით, მას ჭკუა და მორალს არც მოეკითხებაო. თქვენ რომ დემოკრატიულობის და ცივილიზებულობის პრეტენზია გაქვთ, მაღალ სტანდარტებს ამიტომაც ვთხოვთ.

ამ მიდგომაში არის სამართლიანობის ძლიერი ელემენტი. მაგრამ არის საფრთხეც. დავით დარჩიამ ვილს ხშირად უყვარს ცნობილი გამოთქმის გამოკრება, როცა დემოკრატიული ქვეყანა არადემოკრატიულს ეომება, ცალი ხელით უხდება ბრძოლაო. ისრაელის და ჰამასის ომი ამ თეზისის შესანიშნავი მაგალითია: ისრაელი მგონი იმ ერთ ხელსაც თავის ნებაზე ვერ ხმარობს. მაგრამ ვის მოეკითხოთ პასუხი, თუ ხელფეხშეკრული დემოკრატია დამარცხდება ბნელეთის ძალებთან ბრძოლაში? როცა აშშ და დიდი ბრიტანეთი ჰიტლერს ებრძოდნენ (მორალური დისტანცია დაახლოებით ისეთივე იყო, რაც ისრაელსა და ჰამასს შორის), მათ ბევრი ისეთი რამე გააკეთეს, რასაც დღეს სამხედრო დანაშაულად ჩაუთვლიდნენ. მაგრამ გერმანელთა მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლს დიდად არავინ ითვლიდა - ომი იყო მოსაგები. ცხადია, მაშინ მსოფლიო ცივილიზაციის ბედი წყდებოდა, ახლა კი მხოლოდ პატარა ისრაელისა (რომელიც, სხვადასა შორის, ანგველსებებს არ შედგება და თავადაც აქვს ჩადენილი უსამართლობები არაბების მიმართ). მაგრამ აქ პრინციპზეა ლაპარაკი.

ომი საშინელებაა და ის ყველაწინააღმდეგე უნდა ავიცილოთ თვიდან, ხოლო თუ ის მაინც მოხდა, უნდა ვიზრუნოთ, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა მინიმალურად დაზარალდეს. ის, რომ თუნდაც მეორე მსოფლიო ომთან შედარებით დღეს უფრო მაღალ მორალურ სტანდარტებს ვუყენებთ მეომარ მხარეებს, ცივილიზაციის პროგრესს მოასწავებს. მაგრამ ყველა პრინციპის მიყენება საღი აზრის ფარგლებში უნდა ხდებოდეს. ადამიანის უფლებების "მაღალი სტანდარტების" თემით ცინიკური სპეკულირება ყველაზე კარგად ისწავლეს იმათ, ვისთვისაც ადამიანის უფლებების ცნება თავისთავად სრულიად აზრ-

სმოკლებულია, ხოლო ადამიანები, ვინც სერიოზულად ფიქრობს ომის პირობებში ადამიანის უფლებების დაცვაზე - იდიოტები არიან (ჰამასის ლიდერებიც და პუტინიც სწორედ ამ კატეგორიაში შედიან). ამიტომ ეს მაღალი სტანდარტების დაცვა ადამიანურად შესაძლებელი უნდა იყოს და დემოკრატიულ ქვეყანას გამარჯვების რეალურ შანსს უტოვებდეს.

რას ნიშნავს ომში გამარჯვება?

ამით არანაკლებ მნიშვნელოვან თემაზე გადავდივართ: რეალურად რას შეიძლება მიღწიოს ორივე მხარემ? ისრაელის კრიტიკის მეორე მიმართულება ისაა, რომ ღაზას ოპერაცია მაინც ვერ შეასრულებს თავის მიზანს - ჰამასის განადგურებას. თუ ასეა, რა აზრი აქვს ამხელა მსხვერპლს? ანუ ისრაელი არა მხოლოდ არამორალურად, არამედ არაგონივრულად იქცევა.

აგვისტოს ომშიც საქართველოს საერთაშორისო და შინაური კრიტიკის მთავარი მიმართულება ჰუმანიტარულ-მორალისტური კი არ იყო, არამედ რეალპოლიტიკით ნაკარნახევი: თუ იცი, რომ რუსეთს მაინც ვერ მოუგებ, რატომღა უჩიხიკინებ? ორივე შემთხვევაში, საომარი მოქმედების დაწყების გადწყვეტილება დანაშაულზე უარესი გამოდის: ეს შეცდომაა.

ისრაელს ახსენებენ ამავე მთავრობის სხვა სამხედრო მოქმედებას, როცა ის 2006 წელს სამხრეთ ლიბანს დაესხა თავს. მაშინ მისი მიზანი მსგავსი იყო: მას უნდა გაენადგურებინა მეორე ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია - ჰეზბოლა, რომელიც ჩრდილოეთ ისრაელს უშენდა რაკეტებს. ისრაელის შიგნით და გარეთ მიმოხილველთა უმრავლესობამ ეს ოპერაცია შეაფასა, როგორც ეჭუდ ოლმერტის მთავრობის სერიოზული მარცხი, რადგან ჰეზბოლას კაპიტულაცია არ შეეძლო, მან შეინარჩუნა თავისი დომინირებული მდგომარეობა სამხრეთ ლიბანში და გამარჯვებულად გამოაცხადა თავი. ოლმერტის მთავრობას მაშინ დიდხანს სიცოცხლეს არ უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მათ თავიც შეინარჩუნა და ავერ ახლა ღაზას სექტორს დაუშინა ცეცხლი.

მაგრამ ზოგი კომენტატორი ამასთან დაკავშირებით იმასაც იხსენებს, რომ 2006 წლის ომის შემდეგ ჰეზბოლამ შეწყვიტა ისრაელის დაბომბვა, ანუ ისრაელმა პროგრამა მიინიშნა შეასრულა. ასე რომ, საკუთარი მოქალაქეების დაცვის თვალსაზრისით, ისრაელის სამხედრო მოქმედება სულაც არ აღმოჩნდა ამაო (ამ დღეებში ჰეზბოლამ ისევ დაბომბა ისრაელი, მაგრამ თუნდაც ომის გათვალისწინებით 2006 წლის ომს უშედეგოდ მაინც ვერ ჩვთვლით). დღესაც საეჭვოა, ისრაელმა ღაზას სექტორში ჰამასის სრულ ნეიტრალიზაციას მიღწიოს. სავსებით შესაძლებელია, ჰამასის ლიდერებმა თავის მომხრეებს გამარჯვების შესახებ აუწყონ და იმათაც სიამაყით ააფრიალონ თავისი დროშები, ხოლო ისრაელისა დაწვან. მაგრამ იმის შანსი, რომ ჰამასი სერიოზულად დაასუსტოს და რაღაც პერიოდით მაინც ისრაელის დაბომბვაზე ხელი ააღებინოს, ისრაელს მაინც აქვს. ამისთვის კი ბრძოლა მაინც ღირს.

ისლამისტურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან ომის თავისებურება - სულერთია, ისრაელი ეწევა ამ ომს, შეერთებული შტატები თუ სხვა ვინმე - ის არის, რომ ამ ომში ძნელი წარმოსადგენია მოწინააღმდეგის სრული და საბოლოო განადგურება, როგორც გერმანელ ნა-

ციტებს აიძულებს სრული კაპიტულაცია მე-2 მსოფლიო ომის ბოლოს. მიუხედავად ამისა, ცივილიზებული სამყარო ამ ბრძოლაზე ხელს ვერ აიღებს. გამარჯვება ყოველთვის სათუო და ნაწილობრივი იქნება, "პროგრესული კაცობრიობის" მხრიდან კრიტიკა კი - მკაცრი და ხშირად უსამართლო. მაგრამ ეს ლოკალური, ნაწილობრივი გამარჯვებებიც სრულიად აუცილებელია, რომ მტერი კიდევ უფრო არ გათავხედდეს. ამასობაში, არსებობს იმედი, რომ არაბულ სამყაროშიც თანდათან გაძლიერდებიან შედარებით უფრო ზომიერი და რაციონალური პოლიტიკური ძალები. უკეთესი სტრატეგიის მოგონება უბრალოდ შეუძლებელია. ყველანაირი ომის წინააღმდეგ გამოსვლა და წმინდა ჰუმანიტარული ლოზუნგების ფრიალი სრული სიბეცე და რეალობაზე თვალის დახუჭვაა.

გაკვეთილები ჩვენთვის

დაბოლოს: ჩვენ რა შეიძლება ვისწავლოთ ისრაელის ომიდან თუ ომებიდან? მოკლედ ჩამოვთვლი სამ პუნქტს.

ომის შედეგის შეფასება:

თანამედროვე ომებში ერთხელ და საბოლოოდ გამარჯვებები ძალიან იშვიათია - გამარჯვება და დამარცხება ქულეობითაა და ომის დამთავრების შემდეგ ისტორიის უიური შეიძლება კიდევ დიდხანს ითვალისწინდებოდეს ვინ მოიგო და ვინ წააგო. მაგრამ ასეთ გამარჯვებასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ასე იყო ჩვენს აგვისტოს ომში, ასე იყო 2006 წლის ისრაელ-ჰეზბოლას ომში, ალბათ ასე იქნება ღაზას ომშიც.

ომის და დემოკრატიის მიმართება:

საზოგადოდ, ომის მდგომარეობაში ან ომის ზღვარზე ყოფნა ხელს არ უწყობს დემოკრატიის განვითარებას, რადგან ომს ერთ მუშტად შეკავშირება უყვარს და პლურალიზმს არ ნახალისებს. მაგრამ ისრაელის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს ორი რამ შეთავსებადია. ისრაელი მყარი, სტაბილური დემოკრატიის, რომელიც უაღრესად განსხვავებულ ჯგუფებს და შეხედულებებს აქვს გამოხატვის სრულყოფილი საშუალება (მათ შორის პაციფისტებს, მათ შორის ისრაელულ არაბებს). მაგრამ ამავე დროს ის უაღრესად ეფექტური საომარი მანქანაა. ჩვენ ვერ არც ერთ არა ვაჭქნას - არც სრულყოფილი დემოკრატია, არც საკმარისად ქმედითი სამხედრო მანქანა. ორივეს ერთდროულად და პარალელურად განვითარება ჩვენთვის უაღტერნატივოა.

მ ე მ ო რ ე ბ თ ა ნ

უპირატეობა: ისეთი ქვეყნები, როგორცაა საქართველო და ისრაელი, განწირულია უთანასწორო ბრძოლაში დასაღუპად, თუ მათ ცივილიზებული სამყარო არ დაეხმარა. ამავე დროს, ის ვერ იქნება მეგობრების დახმარების ამარა და ძირითადად საკუთარი თავის იმედს უნდა ჰქონდეს. ხანდახან ის იძულებულია, გადადგას ნაბიჯები, რაზეც იცის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე კრიტიკა შეხვდება, მაგრამ თუ ეს აბსოლუტურად აუცილებელია, ამაზეც უნდა წავიდეს. იმიტომ, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა მაინც იქნას შენარჩუნებული, ის უნდა იყოს უაღრესად თანამიმდევრული და რაციონალური, უნდა აჩვენოს, რომ მისი მიზნები სამართლიანია, და ამავე დროს - რომ ნებისმიერი მისი გადადგმული ნაბიჯი კარგად გათვლილია და ის პასუხს აგებს მის შედეგებზე, რომ ის ბოროტად არ იყენებს საერთაშორისო მხარდაჭერას.

ოპოზიციის პრობლემა - რეალური ალტერნატივა

ნიკა იმანიშვილი

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მთავარი პრობლემა, რომელიც ქვეყანაში ამჟამად არსებობს და ახალი წლის "პოლიტიკურ მდინარებასაც" განსაზღვრავს, - ოპოზიციის პრობლემაა. ეს მოცემულობა საკვებით ბუნებრივია იმ რეალობაში, რაც 2008 წლის აგვისტოს კატასტროფამ შექმნა.

ჰერბერტ მარკუზეს თქმით, "ისტორიული პრაქტიკის საზომი მისი ისტორიული ალტერნატივაა". თანამედროვე დისკურსში კი ეს გამონათქვამი ასე შეიძლება ტრანსფორმირდეს: მთავარი ის კი არ არის, რა გააკეთა ხელისუფლებამ, არამედ უკვე ის, თუ რამდენად შესწევს უნარი ოპოზიციას, შესთავაზოს საზოგადოებას (ქვეყანას) რეალური ალტერნატივა, ალტერნატიული "დღის წესრიგი", ალტერნატიული "საერთონაციონალური პროექტი", რომელიც იმდენად ლეგიტიმური იქნება, რომ თვისებრივად ახალ პოლიტიკურ რეალობასაც შექმნის.



2007-2008 წლების მიჯნაზე განვითარებული მოვლენები ოპოზიციური კოალიციის უმძიმესი მარცხით დასრულდა, რასაც სამი ძირითადი მიზეზი ჰქონდა: უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტ სააკაშვილის საერთონაციონალური პროექტი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ლეგიტიმურობას; მეორე მხრივ, ოპოზიციურმა კოალიციამ ქვეყანას (ელიტებსა და მოსახლეობას) ვერ შესთავაზა სერიოზული ალტერნატივა და მისი განმასახიერებელი ფიგურა ("დაგინებასა" და "შეგინებას" შორის სხვაობაზე მსჯელობის გარდა), ხოლო ქუჩაში გამოსული პროტესტული მასა, რუსთაველის ნაცვლად იანვარში იპოდრომზე წაიყვანეს, რაკი ელემენტარულად შეეშინდათ, რომ მის მართვას ვერ შეძლებდნენ და ექსცესების შემთხვევაში (განსხვავებით ნოემბრის მოვლენებისაგან) ციხეში არა მხოლოდ რიგითი მომიტინგეები აღმოჩნდებოდნენ, არამედ "მასობრივი არეულობის ორგანიზატორებიც".

მაგრამ რაკი თავად შექმნეს მასში რევოლუციური მოლოდინი ("აი, 2 ნოემბერს შევიკრიბებით და მიშას დავაშთავრებთ"; "აი, საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების შემდეგ შევიკრიბებით და მიშას დავამთავრებთ"), პროტესტულმა ელექტორატმა მათ ეს იმედგაცრუება არ აპატია და მისის საპარლამენტო არჩევნების ბოიკოტირებით უპასუხა.

კაცმა რომ თქვას, ეს ბუნებრივიც იყო: მასას ხომ იმისთვის არ უბრძოლია, ოპოზიციას 10-15 ადგილით მეტი ჰყოლოდა პარლამენტში?! მისი მიზანი ხელისუფლების შეცვლა (დასჯა) იყო და არა მონტესკიესული "საპირწონეების" შექმნა - ოპოზიციური პარლამენტის არჩევით. მაშასადამე, ოპოზიციის ერთადერთი შანსი (მოსწონთ მათ თუ არა) იმაში მდგომარეობს, რომ აგვისტოს შემდეგ შექმნილ ვითარებაში აღიდგინონ ლეგიტიმურობა ქვეყნისათვის მკაფიო ალტერნატიული პროექტისა და შესაბამისი ფიგურის შეთავაზებით.

ნინო ბურჯანაძე (ზურაბ ნოღაიდელზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ამგვარ ფიგურად არ განიხილება

და არც გამოდგება. არისტოკრატ ქალბატონს, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ ორიოდ თვით ადრე თანამდებობაზე "ნებაყოფლობით უარის თქმა" (რასაკვირველია ბრჭყალებში) მას ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან იმ პოლიტიკის შედეგებისათვის, რომლის თანაშემოქმედიც 4 წლის განმავლობაში ბრძანდებოდა.

არ არის გასაკვირი, რომ ახლადმოხილი "დემოკრატები" უკვე რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს ითხოვენ და არა საპარლამენტოს. სხვათა შორის, არც ცდებიან უმთავრეს არგუმენტში: სანამ მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტია, "ნაციონალური მოძრაობა" ყველა საპარლამენტო არჩევნებს მოიგებს. ოღონდ ამ ფენომენის ახსნას არ ცდილობენ ან ყბადაღებულ "გაყალბებაზე" დაჰყავთ. არადა, ზბიგნეე ბუჟინსკიმ თქვა ერთხელ ნიშანდობლივი ფრაზა, რომელიც მხოლოდ ერთი შეხედვით შეიცავს პარადოქსს: "პოსტ-საბჭოური ქვეყნების თავისებურება ისაა, რომ სანამ პოლიტიკური ვითარება გამოიყურება, როგორც სტაბილური, იგი ასეთად დარჩება."

ჩვენს სინამდვილეზე ეს დებულება ასე პროეცირდება: სანამ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, ხოლო ოპოზიციას არა აქვს უნარი ქვეყანას რეალური ალტერნატივა შესთავაზოს, ნებისმიერ არჩევნებში ელექტორატის კატეგორიული უმრავლესობა "შეჩვეულ ჭირს" მისცემს ხმას.

სხვათა შორის, ეს რეალობა აგვისტოს ომმა მხოლოდ განამტკიცა: ოპოზიციის იძულებული ხდება, მოსახლეობას დაუმტკიცოს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში სიტუაცია კიდევ უფრო არ აირევა, უარესი არ მოხდება და თავად აქვთ მკაფიო პროექტი, რომელიც შეთანხმებული და აღიარებულია ძირითად შიდა და გარე მოთამაშეებთან.



ზემოთთქმულის საილუსტრაციოდ: ძალზე ნიშანდობლივია ის ერთადერთი შეცდომა, რომელიც ლიბერალურ ძალთა შესაძლო კანდიდატმა, ირაკლი ალასანიამ დაუშვა მთლიანობაში ძალზე ჭკვიანურად წარმართულ პრეს-კონფერენციაზე.

მისი თქმით, "წარსულის შეცვლა შეუძლებელია!".

თუ ეს ოპოზიციის საერთო სლოგანი გახდა, მაშინ ხელისუფლებას იგი ვერასდროს დაამარცხებს, რადგან თუკი "წარსულის შეცვლა შეუძლებელია", ეს აზრობრივი კონსტრუქტი "ფაზლის" სიზუსტით მოითხოვს უფრო ფართო კონსტრუქციის შემდეგ ნაწილს: "წარსულის შეცვლა შეუძლებელია, რაც მოხდა - მოხდა, ანუ მოხდა "არმოსახდენი", მაგრამ რაკი მოხდა, რა აზრი და დანიშნულება აქვს ცვლილებებს?".

ესე იგი მთავარი გამომდინარე სლოგანი ხდება არა "ვინ" და "რატომ", არამედ "რისთვის და რა მიზნით?".

რისთვის უნდა შეიცვალოს ხელისუფლება და რა მიზნით?

პასუხი: იმიტომ, რომ მან წააგო ომი, დაიკარგა კოდორი, ლიახვის ხეობები და ახალგაორი.

მაგრამ ეს არის პასუხი კითხვაზე "რატომ?" და არა "რა მიზნით?", რაც ბევრად არსებითია ამ დისკურსში.

ანუ ასეთი პასუხი მეტისმეტად პრიმიტიულია და საკმარისი სულაც არ არის, რაკი ბევრი მათგანი, ვინც კითხვას ასე პასუხობს, ხალხის თვალში არანაკლებადაა პასუხისმგებელი ამ ქვეყანაში 2003 წლის რევოლუციის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე, იმავე "აგვისტოს ომზე", ხოლო მათი წყენამბიციის დასაკმაყოფილებლად, ისევე, როგორც მხოლოდ ხელისუფლების დასასჯელად, მასა ქუჩაში აღარ გამოვა.

მით უმეტეს, როდესაც ამისაკენ სწორედ ის პერსონაჟები მოუწოდებენ, რომლებმაც ერთხელ უკვე წაიყვანეს იპოდრომისკენ - სახელმწიფო კანცელარიის ნაცვლად. ხოლო ზოგიერთი ოპოზიციური პარტია იმ გაერთიანებაში ზუსტად იმ მიზნით შევიდა, რათა გაგულსებული მასა, კრიტიკულ მომენტში, "სწორი მიმართულებაში" (იპოდრომისკენ) წაიყვანა (არასასურველ პროცესზე რეაგირების ყველაზე ჭკვიანური მეთოდი ხომ ზოგჯერ მის სათავეში მოქცევაა), თორემ თავად ყველაზე კარგად უწყოდნენ (ახლაც ხვდებიან), რომ მორიგი დესტაბილიზაციით შეიძლება იმ "გარესიტუაციურმა" ძალებმა ისარგებლონ, რომლებიც არც მათ დააყრიან კარგ დღეს - თუ ხელში ჩაუვარდნენ.

ამრიგად, საკვანძო პრობლემა ისაა, შეძლებს თუ არა ოპოზიციის დამაჯერებლად უპასუხოს კითხვას: რა მიზნით და რისთვის უნდა შეიცვალოს ხელისუფლება?

ჯერ-ჯერობით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ოპოზიციას არათუ არ გააჩნია პასუხი ამ კითხვაზე, არამედ ვერც კი აცნობიერებს მკაფიო პასუხის აუცილებლობას.

"ყველაფერი თავისით მოვა", - განაცხადა ნინა ციკლის დროს მათმა საპრეზიდენტო კანდიდატმა. არადა პოლიტიკაში "თავისით" ნამდვილად არაფერი მოდის, არ მოსულა და არც მოვა.



საოცარია, მაგრამ ამ საკითხებზე სერიოზული დისკუსია საერთოდ არ მიმდინარეობს. არა მგონია ამის მიზეზი მხოლოდ "ელექტრონულ მედიაში" შექმნილი ტრაგიკომიკური ვითარება იყოს (თუმცა სადისკუსიო "მოედნები" იქაც გამოჩნდა ბოლო დროს) - მთავარი მიზეზი ისაა, რომ არა მხოლოდ და არა იმდენად ხელისუფლება, არამედ ოპოზიციის გაურბის დისკუსიას ომისშემდგომი განვითარების კარდინალურ საკითხებზე.

რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ არანაირი კარდინალურად განსხვავებული პროექტი მათ არ გააჩნიათ და რთული, სარისკო ალტერნატივების შეთავაზების შნო-უნარიც არა აქვთ?

საკითხის გარკვევაში ვითარების მოდელირება დაგვეხმარება. ავიღოთ ერთი კონკრეტული საკითხი.

აი, მაგალითად: ოპოზიციონერები ხშირად იმეორებენ, რომ "აუცილებელია აღდგეს დიალოგი რუსეთთან", რადგან "გაბუტვა უსარგებლოა".

საზოგადო დისკურსში, "საერთონაციონალური პროექტის" ფორმირებისას, კითხვა დაახლოებით ასე ფორმულირდება:

- თქვენ მიგაჩნიათ, რომ დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა შეცდომა იყო, მაშასადამე,

თუ ხელისუფლებაში მოხვალთ, აღადგენთ დიპლომატიურ ურთიერთობას რუსეთთან?

- პასუხი: დიახ, აღვადგენთ, რაკი "გაბუტვით" არაფერი გამოვა. ეს კონტრპროდუქტიულია.

- კითხვა: აღადგენთ დიპლომატიურ ურთიერთობას და დააბრუნებთ რუსეთის საელჩოს იმ ვითარებაში, როდესაც რუსეთის საელჩოები არსებობს (და უეჭველად დარჩება) ცხინვალსა და სოხუმში?!

- პასუხი: ???

აი, აქ იწყება ოპოზიციისთვის არაკომფორტული ვითარება, რასაც ისინი ყოველთვის გაურბიან - ისევე, როგორც, (სწორად შენიშნა ვია ნოდინამ) ვთქვათ, სტალინის ძეგლთან დაკავშირებით საუბარს.

ბუნებრივია, უკანასკნელ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად დადებით პასუხის შემთხვევაში მმართველი პარტიის ლიდერები ჰარპუნ-გარჭობილი ვეშაპებივით იბღაულებენ, მაგრამ რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ოპოზიციისათვის მტკიცე და ერთმნიშვნელოვანი პასუხი ("დიახ, აღვადგენთ ურთიერთობას იმის მიუხედავად, რომ რუსეთი არ შეცვლის გადაწყვეტილებას სეპარატისტთა აღიარების შესახებ") ბევრად უფრო პერსპექტიულია, ვიდრე უაზრო ზმუილი ამ და ამგვარ "არაკომფორტულ" კითხვებზე პასუხისას.

სადისკუსიო, არაერთმნიშვნელოვან საკითხებზე მკაფიო, თუნდაც არაპოპულარული და რისკის შემცველი პასუხი ხდება სწორედ ერთ-ერთი ნაწილია, ერთ-ერთი სემენტი იმ "ალტერნატიული საერთონაციონალური პროექტისა", რომელიც პოლიტიკური ძალის ლეგიტიმურობას განაპირობებს. უფრო მეტიც - მისი ლეგიტიმურობის ყოვლად აუცილებელი პირობაა!

ამ აზრით მკაფიო პოზიცია ყოველთვის საკამათოა, ყოველთვის სარისკო და "თავისამატკივებელია". მით უმეტეს საქართველოს მსგავს "ბრინჯივით დაბნეულ საზოგადოებაში";

გაცილებით კომფორტული (თუმცა უპერსპექტივოა) მხოლოდ ხელისუფლების დამარცხებაზე, ტერიტორიების დაკარგვაზე თუ თიყუშით აპელირება და არაკომფორტული კითხვებისაგან თავის არიდება.

იგივე "ნატო-სთან" დაკავშირებით, კვლავ ვცადოთ მოდელირება: კითხვა ოპოზიციას:

- მასობრივი აღქმით, აგვისტოს ტრაგედია ძირითადად განაპირობა საქართველოს სწრაფვამ ნატოსკენ. განურჩევლად იმისა, ხელისუფლება რა ტაქტიკას აირჩევდა ქართული სოფლების დაბომბვისას - შეუტევადა ცხინვალს, ჯავას, თუ განახორციელებდა ქართული მოსახლეობის ევაკუაციას და გადავიდოდა თავდაცვით ბრძოლებზე - საბოლოო შედეგი იქნებოდა იგივე. თქვენ თუ მოხვალთ ხელისუფლებაში, იტყვიან თუ არა უარს ნატოსკენ სწრაფვაზე, რაკი სწორედ ეს აღიზიანებდა რუსეთს სინამდვილეში?

პასუხი: - არა, ამ საკითხში ხელისუფლებას მთლიანად ვეთანხმებით.

კითხვა: - კი მაგრამ, თუ ამ კარდინალურ საკითხში ხელისუფლებას ეთანხმებით, მაშინ რა აზრი და დანიშნულება აქვს ხელისუფლების შეცვლას? უფრო გონივრულ საკადრო პოლიტიკას გაატარებთ? უფრო ქმედით თავდაცვის მი-

ნისტრს თქვენ დანიშნავთ? მეტად რთი - თქვენი საკადრო-პარტიული პოტენციალი? თქვენი შემადგენლობით?

პასუხი: ???



ამგვარ პროექტად შეიძლება იქცეს არსებული კარდინალური უარყოფაც, ოღონდ (მასის ფსიქოლოგიად გამომდინარე) რეალური, ხელშესახები რისკის შემთხვევაში.

რატომ შეიძინა ერთბაშად (ხანმოკლე, თუმცა ძლიერი და ძალზე არსებითი) ლეგიტიმურობა მასის თვალში ირაკლი ოქრუშვილმა 2007 წლის შემოდგომაზე? იმიტომ, რომ იგი არ მორიდდა რისკზე წასვლას, არ მოერიდა კონკრეტიკას(!), სამკვედრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას; ხოლო ნინო ბურჯანაძისა და ირაკლი ალასანიას "აკადემიურობა", მათი "სიზოგადე", არაკონკრეტულობა, რეალური დაპირისპირების რისკზე უარის თქმა (მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, ბურჯანაძე ოქრუშვილზე ნაკლებ ინფორმაციას როდი ფლობს) მასას ვერ ალაგზნებს!

შესაბამისად, "აკადემიური სტილის" მიმდევრებს 2013 წლამდე მოუწევთ მოცდა. ანუ, ეპისტოლარულ ჟანრში და სალონურ პრეს-კონფერენციებზე თვითგამოხატვით დაკმაყოფილება. ამასთანავე, თუ დღევანდელმა ხელისუფლებამ 2013 წლამდე მიაღწია, იმ დროისათვის მას ნამდვილად ექნება რესურსი პროექტ "მემკვიდრის" განსახორციელებლად.



უკვე 20 წელია, ქართული პოლიტიკური კლასი "ეროვნული მათემატიკის" და "ეროვნული ბალეტის" მსგავსად ცდილობს, რაღაც ახალი ქართული "პოლიტიკური დისკურსის" ("ქართული ველისიპედის") შექმნას, რომელიც პოლიტიკის ზოგად კანონებს და საკაცობრიო პრაქტიკას არ დაემორჩილება.

ალბერტ აინშტაინის აღიარებით, "პოლიტიკა ფიზიკაზე ბევრად რთულია", თუმცა არანაკლებ ზუსტი მეცნიერებაა. მისი ერთ-ერთი ურყევი კანონის შესაბამისად კი, პერსპექტიულია მხოლოდ ის პოლიტიკოსი და ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც მასისა და ელიტების აღქმით აქვს ლეგიტიმურობა. აქ "ლეგიტიმური" იგივეა, რაც "არსებითი" "სერიოზული" და "რეალური".

ჯერ-ჯერობით კი, ლეგიტიმურობას, ყველაფრის მიუხედავად, ხელისუფლება უფრო ინარჩუნებს, რაკი სწორედ მოქმედი პრეზიდენტი (როგორც არ უნდა ლიზიანდებოდეს ამით სოციუმის თუ პოლიტიკური კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი) "ქმნის დღის წესრიგს" ქვეყანაში: ცვლის მთავრობას, იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ასეულობით ათასი ადამიანის სოციალურ მდგომარეობას ეხება; ატარებს ყოველდღიურ პრეს-კონფერენციებს, "ფი-არ" აქციებს, ხელისუფლების ქმედითობასა და არსებობა-რეალურობას ადასტურებს.

ოპონენტები კი... იმავე ბუჟინსკის პერიფრაზით: "სანამ ოპოზიცია გამოიყურება, როგორც დაბნეული და უმწეო, იგი ასეთად დარჩება."

ომის შედეგად დაზარალებულთა 30 სარჩელი მზად არის

ავგისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებულ საქართველოს მოქალაქეთა სარჩელები ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში 8 თებერვლამდე გაიგზავნება. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" თავმჯდომარე მანანა კობახიძე აცხადებს, ევროსასამართლოში გასაგზავნად უკვე მზად არის 30 სარჩელი და ისინი სხვადასხვა კატეგორიის დარღვევას ეხება.

"სარჩელები ეხება სიცოცხლის უფლების დარღვევას, თავისუფლების უფლების დარღვევას. სარჩელები ეკუთვნით იმ ადამიანებს, რომლებსაც დაუბრუნებეს სახლები და ასევე იმ ადამიანებს, რომლებიც ცხინვალის იზოლაციაში, მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. სარჩელები საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებსაც ეხება," - განმარტავს მანანა კობახიძე.

სტრასბურგის სასამართლოში მოსარჩელეთა ინტერესებს ფონდ "ლია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" დაიცავს. პროექტის ღირებულება 30 000 დოლარს შეადგენს.

მანანა კობახიძის განცხადებით, პროექტის ფარგლებში ევროსასამართლოში წარდგენილი 30 საქმეზე უკვე დაიკითხა 100-ზე მეტი ადამიანი, რომლებიც სეპარატისტული რეჟიმის და რუსი ოკუპანტების ტყვეობაში იმყოფებოდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

42 ხანძარი ერთ კვირაში

პირველიდან შვიდ იანვრამდე თბილისში 42 ხანძრის შემთხვევა დაფიქსირდა. საგანგებო სიტუაციათა სამსახურის ინფორმაციით, 42 შემთხვევიდან ორი შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. რაც შეეხება 2008 წლის სტატისტიკურ მონაცემებს, გასულ წელს 2789 ხანძრის შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან ძველი თბილისის რაიონში 312, დიდუბე რეგიონში 236, ისანი-სამგორში 783, ვაკე-საბურთალოს რაიონში 799, გლდან-ნაძალადევის რაიონში 579, დიდგორში 81. სახანძრო შემთხვევებს სულ 19 ადამიანი ემსხვერპლა. **ჯი-ეიჩ-ენი**

დუბაიში ქართველი ქურდები დააკავეს

"დუბაიში ორი ქართველი დააკავეს," - იუწყება გაზეთი "გალფ ნიუსი". დაკავებულებს ბრალი ედებათ დუბაიში 18 ბინის ძარცვაში. მძარცველები ქალაქის ელიტარულ კვარტალებში ბინებს აკვირდებოდნენ და პატრონების არყოფნისას ძარცვავდნენ. ისინი სამკაულებს, ოქროს, მობილურ ტელეფონებს, კომპიუტერებს იპარავდნენ.

დუბაის პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულებმა ალიარეს, რომ ბინებს ძარცვავდნენ. ქართველებთან ერთად მათი თურქი თანამზრახველიც დააკავეს.

გასულ წელს ემირატების ხელისუფლებამ საქართველოს მოქალაქეებისთვის ტურისტული ვიზების გაცემაზე შეზღუდვა შემოიღო. არაოფიციალური ვერსიით, ასეთი ღონისძიებების მიზეზი გახდა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ქართველების ხშირი მონაწილეობა დანაშაულებრივ ქმედებებში. **ჯი-ეიჩ-ენი**

თავდასხმა სკოლაში

უნგრეთის ერთ-ერთ სკოლაში დირექტორი და მასწავლებელი ჩაცხრილეს. სააგენტო France Presse-ის ცნობით, ინციდენტი ბუდაპეშტის გარეუბანში მდებარე სკოლაში მოხდა. ნიღბიანმა ბოროტმოქმედმა სკოლაში შევარდნისას ცეცხლსასროლი იარაღიდან ჯერ სკოლის დაცვის თანამშრომელი ხელში დაჭრა, შემდეგ კი სკოლის დირექტორი და მასწავლებელი მოკლა. დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, მკვლელობის მოტივები უცნობია. ბოროტმოქმედის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციისთვის, 5 მილიონი ფორინტის (18 600 ევრო) ოდენობის ჯილდოა დაწესებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

დაკავება სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით


თურქეთის პოლიციამ 30 ადამიანი დააკავა, რომლებსაც ბრალი სახელმწიფო გადატრიალებაში ედებათ. 2008 წლის ზაფხულში ამავე ბრალდებით, 86 ადამიანი დააკავეს. დაკავებულთა შორის არიან: თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ყოფილი მდივანი თუნჯერ კილიჩი და ცნობილი ოპოზიციონერი ჟურნალისტი და მწერალი იალჩინ კიჩუკი.

დაკავებულთა შორის სამი გადამდგარი გენერალი და ორი აკადემიკოსია. ასევე პოლიციამ ყოფილი მთავარი პროკურორის საბინა კანადოგლუს სახლში ჩხრეკა ჩაატარა, თუმცა ის არ დაუკავებიათ.


2008 წლის პირველ ივლისს თურქეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მათ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა აღკვეთეს, რომელსაც ორგანიზაცია Ergenekon აზრადებდა. პოლიცია ამტკიცებს, რომ შეთქმულები პოლიციისთან შეტაკებების პროვოცირებას გეგმავდნენ და ამ კრიზისის გამოყენებას ერდოლანის მთავრობის ჩამოსაგდებად. დაკავებულები კი ამტკიცებენ, რომ ისინი პოლიტიკური მიზეზების გამო დააკავეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

2008 წლის დანაშაულებრივი სტატისტიკა


შსს-მ ახალი სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. 2008 წლის 11 თვეში საქართველოში რეგისტრირებულია 41 787 დანაშაული, გაიხსნა - 18 943. სტატისტიკის მიხედვით, გახსნის მაჩვენებელია, წინა წელთან შედარებით, 21 პროცენტით მოიმატა. თუ შარშან იყო 37.6 პროცენტი, წელს გახსნის მაჩვენებელია - 45.3.



შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით, მიმდინარე წლის 11 თვეში საქართველოში რეგისტრირებულია განზრახ მკვლელობის 265 ფაქტი, გაიხსნა 124. აღრიცხვა მკვლელობის მცდელობის 358 შემთხვევა, გაიხსნა 224. გაუპატიურების 100 შემთხვევიდან 62 გაიხსნა, ხოლო თავისუფლების უკანონო აღკვეთის 58 შემთხვევიდან - 41.



შსს-ს სტატისტიკით, დანაშაულის მაჩვენებელია შორის კვლავ ღირსეობს ქურდობა. რეგისტრირებულია ქურდობის 13 346 ფაქტი და გაიხსნა 3 376. აქედან, აღრიცხულია ბინების ქურდობის - 1872, ავტომობილების - 224, პირუტყვის - 476, მობილური ტელეფონების ქურდობის 871 ფაქტი.



11 თვეში რეგისტრირებული ძარცვის 1067 შემთხვევიდან გაიხსნა 485, 889 ყაჩაღობიდან - 431, თაღლითობის 1661-დან - 694, ხოლო გამოძალა 103 ფაქტიდან გახსნილია 43.

აღრიცხულია ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის შენახვა, შექმნა, ტარება, გადაზიდვა, გასაღების 1196 შემთხვევა, საიდანაც გაიხსნა 873.

11 თვეში რეგისტრირებულია

ქურნალისტთა მკვლელობები შემცირდა

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ "რეპორტიორები საზღვარგარეთ" 2008 წელი შეაჯამა. ორგანიზაციის მონაცემებით, 2008 წელს დაიღუპა და დაზარალდა უფრო ნაკლები ქურნალისტი, ვიდრე 2007 წელს, მაგრამ პრესის თავისუფლების საერთო კლიმატი არ გაუმჯობესებულა.

ორგანიზაციის განცხადებით, "ცენზორებს და აგრესორებს კიდევ ერთი სამიზნე გაუჩნდათ. ინტერნეტსფერაში დაიხურა ბეჭდვით, ტელე და რადიო საშუალებებზე ხუთჯერ მეტი საინფორმაციო რესურსი. ორგანიზაციის ცნობით, 2008 წელს, პროფესიული მოვა-

ლეობის შესრულების დროს, დაიღუპა 60 ქურნალისტი (2007 წელს - 87). უმრავლესობა მოკლეს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აგრეთვე მალრიბის და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში.

ორგანიზაციის მონაცემებით, ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში 8 ქურნალისტი მოკლეს, ამერიკის კონტინენტზე - 7, აფრიკაში - 3.

"შავი კონტინენტის" ასეთ დაბალი მაჩვენებელი არ ნიშნავს იმას, რომ იქ სიტუაცია გაუმჯობესდა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მრავალი ქურნალისტი უარს ამ-

ბობს რეგიონში მუშაობაზე და ხშირად ემიგრაციაში მიდის. ასევე შემცირდა მედია საშუალებები კონფლიქტის ზონებში, მაგალითად, სომალში. ამასთან, აფრიკა რეკორდსმენია დაპატიმრებული ქურნალისტების რაოდენობით," - აცხადებენ "რეპორტიორები საზღვარგარეთი" წარმომადგენლები.

სტატისტიკის თანახმად, 2008 წელს დააკავეს 673 ქურნალისტი. 929 ქურნალისტი გახდა აგრესიის ან მუქარის მსხვერპლი, 353 მედია საშუალება (არ იგულისხმება ინტერნეტმედია) დახურეს ცენზურის მოტივით.

ლი ხულიგნობის 687 შემთხვევიდან 508 გაიხსნა.

აღრიცხვა ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის ნესების დარღვევის 3 265 ფაქტი, გაიხსნა - 79.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მიმდინარე წლის 11 თვეში არასრულწლოვნებმა ჩადიდნეს 700 დანაშაული, რომელთაგან ერთიც არ გახსნილია.

აღრიცხულია ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ბრუნვის 7 827 შემთხვევა, გაიხსნა 7 584. ნარკოტიკების კონტრაბანდის 87 ფაქტიდან გაიხსნა 85, ნარკოტიკების რეალიზაციის 62-დან - 59, ხოლო ნარკოტიკების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის 71 ფაქტიდან გაიხსნა 69.

11 თვეში აღრიცხულია სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის 612 შემთხვევა, გაიხსნა 377, დეზერტირობის 81 ფაქტიდან კი გაიხსნა - 29 მთლიანი სტატისტიკის ნახევარი - 21 76 დანაშაული რეგისტრირებულია თბილისში.

სტატისტიკის მიხედვით, დედაქალაქში აღრიცხვა განზრახ მკვლელობის - 52, მკვლელობის მცდელობის - 179, გაუპატიურების - 29, ქურდობის - 7 499, ძარცვის 746, ყაჩაღობის 506, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის 4 478 ფაქტი. რეგისტრირებულია არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი 126 დანაშაული.

დედაქალაქში არ აღრიცხულია ტერორიზმისა და ბანდიტიზმის არც ერთი შემთხვევა. აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნებული სტატისტიკით, ქვეყნის მასშტაბით ბანდიტიზმის არც ერთი ფაქტი არ დარეგისტრირებულია.

ავღანური ჰეროინის მსხვერპლი

რუსეთის ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ფედერალური სამსახურის ინფორმაციით, რუსეთში ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" მოხმარების შედეგად ყოველწლიურად 30 ათასი ადამიანი კვდება.

"ჰეროინი", რომელსაც რუსეთში მცხოვრები ნარკომანები მოიხმარებენ, ძირითადად ავღანეთშია ნაწარმოები, მისი ქიმიური შემადგენლობა ხშირ

ში კვდება ორჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე ავღანეთის ომში 10 წლის მანძილზე. ავღანეთიდან გახსნილია მასიური ნარკოტრაფიკი, რომელიც ადამიანთა მკვლელობაზეა გათვლილი," - აცხადებს ფედერალური სამსახურის უფროსი, რომლის უწყების პროგნოზითაც, 2009 წელს ავღანეთიდან ნარკოტიკების კონტრაბანდა ძალზე გაიზარდება.

"ავღანეთი დიდი ხანია ნარკოსახელმწიფოდ ჩამოყალიბდა - ავღანეთის ნარკოტიკების მწარმოებელი ფაბრიკების "ჰეროინით" მსოფლიო ბაზრის 93 პროცენტი მარაგდება. ამ დროისთვის ავღანეთის ტერიტორიაზე ინახება 10 ათას ტონაზე მეტი სუფთა "ჰეროინი," - აცხადებს რუსეთის ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ფედერალური სამსახურის უფროსი.

ავღანეთი დიდი ხანია ნარკოსახელმწიფოდ ჩამოყალიბდა - ავღანეთის ნარკოტიკების მწარმოებელი ფაბრიკების "ჰეროინით" მსოფლიო ბაზრის 93 პროცენტი მარაგდება. ამ დროისთვის ავღანეთის ტერიტორიაზე ინახება 10 ათას ტონაზე მეტი სუფთა "ჰეროინი," - აცხადებს რუსეთის ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ფედერალური სამსახურის უფროსი.

გაერო-ს რეზოლუცია

უშიშროების საბჭო ღაზას სექტორში შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტას მოითხოვს

სათუნა ბაბიჯი

გაერო-ს უშიშროების საბჭომ ხუთშაბათს მიიღო რეზოლუცია ღაზას სექტორში ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობის შესახებ. პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე ანტიტერორისტული აქცია, სახელწოდებით - "ჩამოსხმული ტყე", 27 დეკემბრიდან მიმდინარეობს. უშიშროების საბჭომ ტექსტში ასევე აღნიშნა ღაზას სექტორიდან ჯარების გაყვანის, საზღვარზე ისრაელის მიერ ჩაკეტილი საკონტროლო-გამშვები პუნქტების გახსნისა და მყარი და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების აუცილებლობა.

რეზოლუცია სხდომაზე 14 ხმით მიიღეს, შეერთებული შტატების დელეგაციამ დოკუმენტის მხარდაჭერისგან თავი შეიკავა. უშიშროების საბჭომ სერიოზული შემოთავაზება გამოთქვა ღაზას სექტორში გაუარესებული ვითარების, ძალადობის ესკალაციისა და "მშვიდობიანი მოქალაქეებში უზარმაზარი მსხვერპლის" გამო. სხდომის მონაწილეებმა ძალადობისა და სისასტიკის ყველა ფაქტი დაგმეს, რაც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგაა მიმართული.

თუმცა, პარასკევს დამით, რეზოლუციის მიღებიდან სულ რამდენიმე საათში, ისრაელის თვითმფრინავებმა ანკლავზე კიდევ ერთი იერიში მიიტანეს. "ბი-ბი-სი-ს" ცნობით, ისრაელის ავიაციამ, სულ მცირე, 30 დარტყმა განახორციელა, რასაც ექვსი პალესტინელი ემსხვერპლა.

ისრაელისა და შეერთებული შტატების მოთხოვნით რეზოლუციის ტექსტში "ჰამასი" პირდაპირ არ არის მოხსენიებული. გაერო-ში ისრაელის წარმომადგენლის მოადგილის გაბრიელ შალევის განცხადებით, "სახელმწიფოსა და ტერიტორიის ტერიტორიის ორგანიზაციის ერთ სიბრტყეზე განხილვა დაუშვებელია," - ისლამური მოძრაობა "ჰამასი" კი ოფიციალურ თელ-ავივსა და ვაშინგტონში სწორედ ასეთ ორგანიზაციად არის მიჩნეული.

მიღებული რეზოლუციით კმაყოფილება გამოთქვა რუსეთმა, რომლის დიპლომატიურ უწყებაშიც მიიჩნევენ, რომ დოკუმენტი "დროული, მნიშვნელოვანი და საკმაოდ დაბალანსებული შინაარსისაა."

"ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ უშიშროების საბჭოს წევრების რეაქცია ამ რეგიონში არსებულ კრიზისზე სწრაფი პასუხია. განხილვას სამი დღე დასჭირდა, რაც უშიშროების საბჭოში საკმაოდ იშვიათად ხდება. აღნიშნულ რეზოლუციაში პრინციპულად დგას ორივე მხარის მიერ ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტის აუცილებლობა. ყურადღება გამახვილებულია ჰუმანიტარულ ასპექტებზე, მათ შორის ჰუმანიტარული დახმარების მისაწოდებლად დერეფნის გახსნაზე," - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ იაკოვენკომ რეზოლუციის მიღებამდე.

მისი თქმით, მიღებული რეზოლუცია გაერო-ს უშიშროების საბჭოს მხრიდან ღაზას სექტორში ვითარების მშვიდობიანი რეგულირების სურვილს მოწმობს.

"სწორედ ამიტომ საჭიროა რეზოლუციის გარკვეული პუნქ-

ტებისთვის ყურადღების მიქცევა, რაც ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ მოსკოვურ შეხვედრას ეხება. თუმცა, ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე გარანტიის მიცემა არავის შეუძლია," - აღნიშნა რუსმა დიპლომატმა.

რუსეთის ფედერაციისგან განსხვავებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია. ოფიციალურმა ვაშინგტონმა რეზოლუციის მხარდაჭერისგან თავი შეიკავა, მაგრამ კონფლიქტის რეგულირების იმედი გამოთქვა.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ხუთშაბათს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მსვლელობისას განაცხადა, რომ ისრაელმა მიინიშნა უნდა დაიყვანოს ღაზას სექტორში ნაშენებული სამხედრო ოპერაციით გამოწვეული ზარალი. კონდოლიზა რაისმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი მხარს უჭერს პალესტინის სახელმწიფოს შექმნისთვის ნაციონალური ადმინისტრაციის მეთაურ მაკმუდ აბასის ძალისხმევას.

რუსეთის დიპლომატიურ უწყებაში ფიქრობენ, რომ რეზოლუციისთვის ხმის მიცემისგან თავის შეკავება შეერთებული შტატების მხრიდან დოკუმენტის მნიშვნელობას ეჭვქვეშ არ აყენებს.

"ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება, ჰქონდეს თავისი პოზიცია. თუ ყურადღებით მოვუსმენთ კონდოლიზა რაისის გამოსვლას, მივხვდებით, რომ ამერიკული მხარე იმ მიზნებსა და ამოცანებს იზიარებს, რასაც რეზოლუცია ითვალისწინებს," - აღნიშნა ალექსანდრ იაკოვენკომ.

"მეორე ფრონტის" გახსნის ალბათობა

ვიდრე გაერო-ში ვითარების რეგულირებაზე ფიქრობენ და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზებს ეძებენ, ცხელ წერტილში მსხვერპლის რაოდენობა სულ უფრო მატულობს. ხუთშაბათს ღაზას სექტორში მსხვერპლის რაოდენობამ 766-ს მიაღწია, დაჭრილია 3 ათასზე მეტი ადამიანი. ისრაელის მხრიდან დაწყებულ ოპერაცია "ჩამოსხმულ ტყეის" 11 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის 8 სამხედრო მოსამსახურე. შვიდი სამხედრო პირი ღაზას სექტორში სახმელეთო ბრძოლაში მოკლული, 8 ჯარისკაცი და კიდევ 3 მშვიდობიანი მოქალაქე კი ისრაელის სამხრეთით სარაკეტო იერიშებს ემსხვერპლა.

პარასკევს ისრაელმა პალესტინური ტერიტორიების სრული იზოლაციის რეჟიმის ამოქმედება გამოაცხადა. შაბათ საღამომდე მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მთელ პერიმეტრზე ყველა საკონტროლო-გამშვები პუნქტი დაიკეტება. გაძლიერებული პოლიციისა და მესაზღვრეთა ძალები ადგილობრივი პრესის თანახმად, წესრიგის დამცველები პარასკევს, მუსლიმების ლოცვის შემდეგ, არეულობების დაწყებას შიშობდნენ.

ანკლავში არმიასა და პალესტინელ ბოევიკებს შორის ჯერ კიდევ გრძელდება სპორადული ბრძოლები. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები და არტილერია "ჰამასის" ობიექტებზე დარტყმებს განაგრძობენ - მათი მთავარი სამიზნე შეიარაღებული დაჯგუფებებია.

გარდა ამისა, იერიშები გრძელდება კონტრაბანდისტების გვირა-

ბებსა და ბოევიკების სხვა ობიექტებზეც. ისრაელის ხელისუფლებას პარასკევს საღამომდე უნდა გადაეწყვიტა, გააფართოებდა სახმელეთო ოპერაციას თუ მას გაერო-ს რეზოლუციის საფუძველზე შეწყვეტდა.

გარდა ამისა, ისრაელის ჩრდილოეთ საზღვარზე ლიბანის მიერ "მეორე ფრონტის" გახსნის საფრთხეც არსებობს, რადგან ხუთშაბათს ისრაელის ქალაქ ნაგარიაზე ლიბანის მხრიდან სამი რაკეტა ისროლეს. ლიბანის ხელისუფლებამ ისრაელის ტერიტორიაზე იერიშის მიტანა დაგმო, ხოლო პრემიერ-მინისტრმა ფუად სინიორამ გამოძიების დაწყების აუცილებლობაზე ისაუბრა. ლიბანის ინფორმაციის მინისტრ ტარეკ მიტრის განცხადებით, ისლამისტურ მოძრაობა "ჰეზბოლას" არაფერი აქვს საერთო ისრაელის სარაკეტო დაბომბვის ორგანიზებასთან. მისი თქმით, "ჰეზბოლა" სტაბილურობის შენარჩუნების ხელშეკრულებას არ არღვევს. სარაკეტო იერიშთან კავშირის არქონა ორგანიზაციამაც დაადასტურა.

თუმცა, "ჰეზბოლას" ლიდერი, შეიხი ჰასან ნასრალა ღაზას სექტორში ისრაელის არმიის მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყების გამო ისრაელთან ომში ჩართვასაც ვარაუდობს. მრავალათასიანი მიტინგზე გამოსვლისას მან არ გამოიტყუა "ნებისმიერი ვარიანტი" "ღაზაში სისხლიანი დაპირისპირების საპასუხოდ" და ორგანიზაციის ბოევიკებს "მეორე ფრონტის" გასახსენებლად მზადყოფნისკენ მოუწოდებდა.

ისრაელი და პალესტინა ომს აგრძელებენ

გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულმა რეზოლუციამ ბევრი ვერაფერი შეცვალა, რადგან ისრაელიცა და პალესტინაც ომს აგრძელებენ. ისრაელის პრემიერ-მინისტრ ეჰუდ ოლმერტის განცხადებით, მისი ქვეყანა "თავისი მოქალაქეების დაცვის უფლების" გამოყენებას აპირებს.

"პარასკევს დილით სამხრეთში მცხოვრები მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებული სარაკეტო დარტყმები იმას მოწმობს, რომ გაერო-ს რეზოლუცია მიუღებელია და მას პალესტინის ტერიტორიის ტერიტორიის ორგანიზაციები არ ითვალისწინებენ," - აღნიშნა ეჰუდ ოლმერტმა.

პარასკევს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრ ციპი ლივნის მიერ გაკეთებული განცხადებით, ოფიციალური თელ-ავივი ვალდებული არ მიიჩნევს თავს, დაემორჩილოს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას და პირველ რიგში, საკუთარი ინტერესებით იხელმძღვანელებს.

ისლამური მოძრაობა "ჰამასის" წარმომადგენელმა რაფაატ მურამ ასევე უარი განაცხადა, დაემორჩილოს რეზოლუციას და ეს იმ მოტივით ახსნა, რომ "გაერო-ს გადაწყვეტილება პალესტინელი ხალხის ინტერესებს არ პასუხობს."

პარასკევს გამთენიისას ისრაელის ავიაციამ ანკლავის ტერიტორიაზე, დაახლოებით, 50 სამიზნე ობიექტი დაბომბა. არაბულ ტელეარხ "ალ-ჯაზირას" ცნობებით, პარასკევს დილიდან საჰაერო იერიშებს, სულ მცირე, 25 პალესტინელი ემსხვერპლა, ხოლო ათობით პირი დაშავდა.

სამხედრო ოპერაციის დაწყების დღიდან ისრაელის ავიაციამ

პირველად ფოსფორული ბომბებიც გამოიყენა. არტილერია ბეიტ-ჰანუნს ბომბავს, სადაც "ჰამასისა" და "ისლამური ჯიჰადის" ბოევიკების ძირითადი თავდაცვის ძალებია კონცენტრირებული.

იერუსალიმიდან მიღებული ცნობებით, პარასკევს ლოცვის დასრულების შემდეგ ისლამური სინაგოგის - ალ-აქსას მეჩეთის ირგვლივ შეტაკებებიც მოხდა. ისრაელის პოლიცია მეჩეთთან შეკრებილი აგრესიულად განწყობილი პალესტინელების დასაშლელად ცრემლმდენი გაზის ხელყუმბარებს იყენებს.

ლტოლვილთა ბანაკის დაბომბვა

პარასკევს გაერო-ს ჰუმანიტარული საკითხების საკოორდინაციო განყოფილების მიერ გავრცელებული ცნობებით, ისრაელის არმიამ ცეცხლი გაუხსნა შენობას, რომელსაც სამხედროებმა მანამდე 110 პალესტინელი შეაფარეს, რომელთაგან 30 დაიღუპა.

24 საათის განვლის შემდეგ, როცა ისრაელელმა ჯარისკაცებმა აღნიშნულ შენობას პალესტინელები შეაფარეს და მათ იქ დარჩენა უბრძანეს, ისრაელის სამხედრო ძალებმა სახლი რამდენჯერმე დაბომბეს. გადარჩენილებმა საავადმყოფომდე მიღწევა სამოქალაქო ტრანსპორტით შეძლეს, მაგრამ სამი ბავში, რომელთაგან ერთ-ერთი ხუთი თვის ასაკის იყო, გზაში დაიღუპა.

ისრაელის სამხედრო ძალების წარმომადგენლის განცხადებით, მას ამ ინციდენტის შესახებ ინფორმაცია არა აქვს, მაგრამ მოძიება აუცილებლად ჩატარდება.

ლიბანში დაკავებული ბოევიკები

პარასკევს ლიბანის უშიშროების ძალებმა ისლამური მოძრაობა "ჰამასის" წევრები დააკავეს, რომლებიც ისრაელის სარაკეტო დაბომბვის ორგანიზებაში არიან ეჭვმიტანილნი. თავდაპირველად იერიშების განხორციელებაში ეჭვმიტანილად "პალესტინის განმათავისუფლებელი სახალხო ფრონტის" ბოევიკები იყვნენ მიჩნეულ-

ნი, რომლის ლიდერიც ისრაელის წინააღმდეგ "მეორე ფრონტის" გახსნით იმუქრებოდა.

ლიბანის არმიისა და გაერო-ს დროებითი ძალების ნაწილი, რომელიც მდინარე ლიტანის სამხრეთითაა განთავსებული, უკვე მესამე დღეა, გაძიერებულ საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმში იმყოფება. სასაზღვრო ზოლთან ახლოს დაბალ სიმაღლეზე გაერო-ს ვერტმფრენები დაფრინავენ. გამუდმებით არღვევენ ლიბანის საჰაერო სივრცეს ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების მოიერიშებით.

გაერო-მ ღაზას სექტორში ჰუმანიტარული დახმარება შეწყვიტა

"ვაშინგტონ პოსტის" თანახმად, გაერო-მ ღაზას სექტორში ჰუმანიტარული დახმარების შეტანა ანკლავში საერთაშორისო ორგანიზაციის კუთვნილ შენობასა და გამცილებელ ეკიპაჟზე ხუთშაბათს განხორციელებული რამდენიმე იერიშის შემდეგ შეწყვიტა. გაერო-ს ახლოაღმოსავლური სააგენტოს პრესმდივან კრის განესის თქმით, ღაზას სექტორში ოპერაციის დაწყების შემდეგ ანკლავში მყოფი გაერო-ს სამი თანამშრომელი დაიღუპა. განესის განცხადებით, ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდება არ განახლებდა მანამ, ვიდრე ისრაელის არმია ანკლავში მყოფი გაერო-ს თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას არ შეძლებს. კრის განესმა ისრაელი ჰუმანიტარული სამსახურის თანამშრომლებზე "გამიზნულად" თავდასხმაში დაადანაშაულა, ვინაიდან ისრაელის სამხედრო ძალებისთვის კარგადაა ცნობილი შენობის ადგილმდებარეობა და მათ გამუდმებით მიეწოდებოდა ცნობები გაერო-ს თანამშრომელთა გადაადგილების შესახებ. ისრაელის არმიის პრესმდივანი ილან ტალი კი აცხადებს, რომ ისრაელის არმია, პირიქით, ყველაფერს აკეთებს, რათა ჰუმანიტარული ტვირთი შეუფერხებლად ჩავიდეს დანიშნულების ადგილამდე, ამის დასტურად კი ის სამსაათიანი ზავი მოჰყავს, რასაც ოთხშაბათსა და ხუთშაბათს ჰქონდა ადგილი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2009 წლის 9 იანვარს გამოქვეყნებული სატენდერო განცხადებას დაემატო შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი:

„14. პრეტენდენტებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეეძლებათ კომისიაში 2009 წლის 9 იანვრის 10:00 სთ-დან 2009 წლის 30 იანვრის 17:00 სთ-მდე, ქ. თბილისი, ქ. ნამებულის გამზირი, ბოჭორმის ქ. 50/18. (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 1 სართული, ოთახი 2) .“



თამარ ვალტერიშვილი ქაქარაძე

პანაშვიდი: 10, 11, 12 იანვარს, 17 საათზე
დაკრძალვა: 13 იანვარს, 15 საათზე;
მისამართი: ვაჟა-ფშაველას პრ. 42, I სად. II სართ. (მეტრო დელისი).

გაზის ომი

ლევან საბანაძე

ევროპა, ფინანსური კრიზისის გარდა, ურთულესი ენერგეტიკული გამოწვევების წინაშეც აღმოჩნდა. ამის მიზეზი კი რუსეთის პოლიტიკური მიზნებია. რუსეთსა და უკრაინას შორის გაზის ფასზე შეუთანხმებლობის შემდეგ, კიევმა ევროპისკენ მიმავალი რუსული გაზსადენის გადაკეტვის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. სიტუაციის გარეშე დარჩენილი ევროპა გამოსავლის ძიებაშია.

არსებული მძიმე ვითარების ფონზე, ევროკავშირის მინისტრები საგანგებო რეჟიმში ბრიუსელში, 12 დეკემბერს შეიკრიბებიან, - ამის შესახებ გუშინ ევროკავშირის ამჟამინდელმა თავმჯდომარე ქვეყანამ - ჩეხეთმა განაცხადა. დღის წესრიგში კი ერთადერთი საკითხი იქნება - უკრაინის გავლით ევროპისათვის რუსული გაზის მიწოდება.

ვიდრე ევროპელი ლიდერები არსებული ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავალს იძებნიან, ევროპას მძიმე და ცივი დღეები ელის. "რუსული გაზის მოწოდების შემცირების შემდეგ, საფრანგეთში გაზზე მოთხოვნამ ყველა აქამდე არსებული რეკორდი მოხსნა და ძლიერი ყინვების გამო უკანასკნელ დღეებში 40 პროცენტით გაიზარდა. ამ დროს კი ბუნებრივი აირის მოწოდება 15 პროცენტით შემცირდა. ყოველივე ამის შედეგად უპრეცედენტო ვითარებაში აღმოვჩნდით," - განაცხადა საფრანგეთის გაზის კონცერნის დირექტორმა ჟერარ მესტრალემ. მისივე თქმით, ფრანგულ კომპანიას შეუძლია ბუნებრივი აირით უახლოეს პერიოდში მოსახლეობა შეუფერხებლად მოამარაგოს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ეს უკვე შეუძლებელი გახდება. "ასეთ რეჟიმში კომპანია დიდ ხანს ვერ იმუშავებს," - დასძინა მესტრალემ.

ასევე მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა ავსტრია. მართალია, ავსტრიელების მოთხოვნა ბუნებრივ აირზე ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია, თუმცა ეს, ძირითადად, გაზსაცავების ხარჯზე ხდება და რუსული გაზის მიწოდების აღდგენის გარეშე ევროპის ერთ-ერთ ცენტრალურ ქვეყანას უმძიმესი დღეები ელის.

საფრანგეთისა და ავსტრიისგან განსხვავებით, უკვე ურთულესი პერიოდი უდგას სერბეთს. ბელგრადის დახმარება ჯერჯერობით უნგრეთმა ითავა და მეზობელ სახელმწიფოს უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში 4 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მიანოდა. სწორედ ამ დახმარების წყალობით, სერბეთში სტრატეგიული ობიექტები და სანარმოები ამ ეტაპზე შეუფერხებლად მუშაობენ.

თუმცა თავად უნგრეთიც არანაკლებ რთულ ვითარებაშია ჩავარდნილი. ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრმა ჩაბა მოლნარმა მოქალაქეებს გაზის ეკონომიურად ხარჯვისკენ მოუწოდა. მისი განცხადებით, უნგრეთის გაზის სისტემა რისკის ზღვარზე მუშაობს და ნებისმიერ შეფერხებას უნგრული გაზის მარაგების მოშლა შეუძლია.

ვიდრე ევროპის მინისტრები ბრიუსელში რაიმე გამოსავალს მიაგნებენ, რუსეთის პრეზიდენტი უკრაინას, კომპრომისების შეთავაზების ნაცვლად, ახალ ბრალდებებს უყენებს და მუქარასაც უგზავნის.

"გასულ წელს, როდესაც ჩვენ უკრაინელ მომხმარებლებს ბუნებრივ აირს 179,5 დოლარად ვანვდიდით, იგივე გაზი უკრაინელებამდე 320 დოლარად მიდიოდა," - განაცხადა დამიტრი მედვედევა "გაზპრომის" შეფ ალექსეი მილერთან გამართული შეხვედრის დროს. მისი თქმით, ეს უკრაინელებმა კარგად უნდა იცოდნენ. ამასთანავე, მედვედევა ეჭვი გამოთქვა, რომ ამ გარი-



რუსული გაზის გარეშე დარჩენილი ევროპელები



AFP - 2009

გებიდან დარჩენილ სოლიდურ თანხებს უკრაინის ხელისუფლება პოლიტიკური მიზნებისა და პირადი პრობლემების მოსაგვარებლად იყენებდა.

ამავდროულად, მედვედევი უკრაინის ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვს რუსეთისა და ევროპისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. "რუსული გაზის მოპარვა შედეგების გარეშე არ დარჩება," - აცხადებს მედვედევი.

ვიდრე რუსეთის ლიდერი იმუქდება და ევროპა იყინება, გამოსავალს დასავლური პრესაც ეძებს. ბრიტანული გაგვლენიანი გამოცემა "ტაიმსი" ნატოში აშშ-ს ელჩ კურტ ვოლკერის განცხადებას აქვეყნებს, რომლის თანახმადაც, შექმნილ ვითარებაში შესაძლოა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ჩაერიოს, რათა ნატო-ს ისეთ ნევრებს გაუწიოს დახმარება, როგორც ბულგარეთი და რუმინეთი. "ეს, მართალია, კერძო სუბიექტების დავაა, თუმცა აშკარაა პოლიტიკური ქვეტექსტებიც," - აცხადებს ვოლკერი.

"ევროკავშირი რუსულ-უკრაინული გაზის კონფლიქტში სრულ უსუსურობას ამჟღავნებს," - ასკვნის ფრანგული "ტაიმი".

ჟურნალი "ფორბსი" კი შექმნილი ვითარებიდან ერთადერთ გამოსავალს ალტერნატიული ენერგომარშრუტების შექმნაში ხედავს და პროექტ "ნაბუკოს" იმედი აქვს, რომელმაც აზერბაიჯანული გაზი ევროპას საქართველოსა და თურქეთის გავლით უნდა მიანოდოს. თუმცა სტატის ავტორი იქვე გამოთქვას ეჭვს, რომ შესაძლოა ამ პროექტის რეალიზების შემდეგ ევროპის მანტაჟი უკვე ახალმა ტრანზიტორმა - თურქეთმა დაიწყოს.

კონსორციუმ "ნაბუკოს" მმართველი დირექტორი რაინჰარდ მიტჩეკი კი საპირისპიროს ამტკიცებს და აცხადებს, რომ მისი აზრით, შექმნილი გლობალური გაზის კრიზისის ფონზე ევროპის ლიდერებმა ამ პროექტის მხარდაჭერა უნდა გააძლიერონ, რაც 2013 წლისთვის ნარმატებით უნდა დასრულდეს.

რევოლუ

"შინ" - დიალოგი წარსულთან, გადაძახილი მომავალთან



სასონ ლეჟავა

ჯგუფი "შინ" - ეს არის თანამოაზრე მუსიკოსთა ძლიერი საძმო, რომელსაც ქართული მელოსის სიღრმე, ახლებურად აჟღერებული, გააქვს მართლაც ღრმად და მალაპროფესიულად - საერთაშორისო ასპარეზზე. მაგრამ სულ სხვა დატვირთვას იძენს ხოლმე "შინის" შინ დაბრუნებისას - (რაც ყოველთვის ზემოდა იქცევა) წარდგომა აქაურ მაყურებელთან. ეს უსერიოზულესი გამოცდაა, რომელსაც ჯგუფი ყოველთვის უდიდესი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ეგებება.

ოპერის თეატრის გაჭედილი დარბაზი მოლოდინის მდურბრებით იყო აღვსილი და აი, დაიწყო კონცერტი შობის ბრწყინვალე დღესასწაულის მილოცვით.

ზაზა მიმინოვილი: გიტარის მედიაციური შესავალი - "ჩაფიქრებული" მელოდია. ერთგვარად "შანი" (დავით შანიძე) თავისი ტევადი, მრავალბასტიანი ეოკალით და უცბად "აიკრიფა", გაიფიქრდა რიტმი. საცეკვაოში ახმინადა გიტარისა და ჩონგურის დიალოგი, რასაც ტაშით გამაფრება მოჰყვა, მერე კი ხმებიც შემოვიდა, თემა გაიშალა, ახლა უკვე დუდუკი ჩაერთო, (ზვიად თოთიაური), არასტანდარტული, გახსნილი სახის იმპროვიზაციით, ჩონგურმა კი (ალექო ხიზანიშვილი) მოულოდნელი, ექსპერიმენტული ხერხები შემოგვთავაზა. გაჩნდა ძლიერ ტენილი რიტმები. თემები აღმავლად ვითარდება! რიტმულად მდიდარია მუჟის (მამუკა ლალანიძე) დაკრული - ის ვოკალითაც აქტიურდება, რასაც გამამხივებელი ურთიერთგაძახილები მოჰყ-

ვება, ბოლოს კი დოლის თანხლებით ემოციის გათავისუფლება...

ცხენოსნური - ჭენების რიტმით. ესაა მეტად პოპულარული სიმღერის გადათამაშება - გადასხვაფერება. "ჯანოურად" ამღერდა მამუკა ლალანიძე, ამას კი დუდუკთა "ამღერებაც" მოჰყვა. კვლავ ემოციური აღმავლობა! ხვიჩა ლეთისიაშვილის მძლავრ "ჩაფანდურებას" ახალი ტალღები შემოაქვს. მატულოვს ძაბვა. უეცრად იბადება ჯაზური თემა, მერე კი კვლავ დაბრუნდება ჩვეულ სალალობოსთან, და ისევ უეცარი მომენტი: ლამისაა "გარეკა" ბასმა (ზურა გაგინიძე), ღონივრად უნერგოულესად. სიმღერა "ნადურისებრ" გვირგვინდება. ვბრუნდებით იმერეთში...

ახლა აჭარა... სალამური ჩაერთო უცნაურად. თემას ძალიან უხდება ზურა გაგინიძის ლალი, იუმორიანი, ხალასი ნამღერი, "ჩაფანდურება - ჩაფანდურების" თანხლებით, მათი ურთიერთშეხმობითა თუ გადაძახილებით. მერე... ურთულესმა ინდურმა რიტმებმა დაისადგურა, რასაც ზაზას მიერ გიტარის ვირტუოზული "აშვება" მოჰყვა, ფანდურ-გიტარის ჩაკვრათა ცოტა არ იყოს, "გიჟური" სვლებით. კულმინაციური, "ამგდები" ჭიბონი აღმოჩნდა. დაიწყო ცეკვაც - დავით სხირტლაძე უბრალოდ ბრწყინვალეა, ალექო ხიზანიშვილი - კი გროტესკული. კონტრასტი ჩინებულად მუშაობს...

ზაზას ნათქვამისა არ იყოს - თემებს "ჩვენს ჭკუაზე ვაქცევთ". "შინს" თითქოს და ესტუმრა მაკ ლაფლინი - უმდიდრესი ჰარმონიებით, უმტკიცესი რიტმებით. შემდგომ შემოვიდა ქართული მრავალხმიანობა, უძლიერესად, დამარწმუნებლად. გაჩნდა სუპერ-ვირტუოზული ჩანართი: უცნაური სურათია -

"მანკეტენ-გურია"... - ნუ გაგვიკვირდება ხშირად გურული სიმღერის "ავანგარდულობის" გამო. ახალი ეფექტი: ხვიჩა წმინდა ქართული, მთიანეთის მელოდით ძალზე ორგანულად ერთდება და ბოლოს, კვლავ მიბრუნება პირველსანწყის, ფართო თემასთან, რაც თურმე მომზადება ყოფილა ახალი აღმავრენისათვის! ზაზას უაღრესად თავისებური იმპროვიზაცია, აღმოსავლური ნაკადი... ურთულეს პასაჟებს გვთავაზობს ზურა. და კვლავ ცეკვა! დავით სხირტლაძე უაღრესად შეკრულია, თავდაჯერებული. ჩნდება რაღაცდაგვარი "კრიმინალური" ყოველივე გვირგვინდება ძალზე არქაული "პერიოდით".

ზავინულის კარგად ნაცნობი თემა! შემდეგ - სალამურის "აჭიკჭიკება". ზურა ბასს ამღერებს. "ზავინული-დუდუკის" არაჩვეულებრივი შეთანხმებულობა! მერე კი როკ-ენ-როლის ხალისიანი თემა დუდუკმა "ასწია". თუ გაგიგიათ ასეთი რამ - "ზავინულო-ფანდური" უცნაურიცაა, უჩვეულოც, მაგრამ სარწმუნოა!

გადავედით აფხაზეთში. მოგ ზაზა - რობა გრძელდება ორი პლასტიკით: მსოფლიო და საქართველო. არანორმალურად ტკივილიანი, ნოსტალგიური აფხაზური თემები! დუდუკები ისე ჟღერს ამის შემდგომ, რომ ნებისმიერ ჯაზურ სასულე ორკესტრს გაუნეგს დაუძაბავ კონკურენციას. ამ ქმნილებაში ფიქრ-ვერკია ოსტატობის, ნიჭის. ახალი მოულოდნელობა: ჟღერს უმძიმესი განგაშის სახით მოსტაკოვიჩის ღრმად ექსპრესიული თემა. დავით სხირტლაძის ცეკვა ერთობ თავდაჭერილია, არტისტული, მტკიცედ პლასტიკური...

გადავდივართ თუშეთში. ერთგვარ

სანო (მერაბ სანოძე). მან "აუშვა" რიტმები, ცოტათი "აინყვიტა", მაგრამ თანდათან, ჯერ შემპარავად... საცეკვაოს მოსდევს შემართებანი თუშური ნამღერი. სანო იბადრება. პასაჟები წარმოუდგენლად ვირტუოზულია... ფაქტია, სულ სხვანაირ სიცოცხლეს, ხშირად კი მასშტაბსა და გაქანებას სძენენ ამა თუ იმ თემას...

ჩვენი თანამომქმე სტამბოლელი ლაზი ფუაჩ საკა-საზით ხელში, შემოდის სცენაზე. საზი როდია ჩვენში უცხო რამ თუგინდ მესხეთში, მასზე ქართველებიც ჩინებულად უკრავდნენ. გაისმის "ჯინგლო", თურქთათვისაც და ქართველთათვისაც უსაყვარლესი თემა, ჩვენი გამაერთიანებელი... "ჯინგლოის" მსუბუქი, გამჭვირვალე, აჟურული ზაზასეული ვერსია. მაგრამ სულ სხვა "გზაზე" გადახვევას ამ თემისა გვთავაზობს საზის მღერადი, "გრძლივი" ბერები. რიტმა ცვლავს, და ბმაც. ფაქიზად, მგრძობიარედ, ნიუანსთა ღრმა განცდით, მსუბუქად მღერის ფუაჩი. მერე კი "ჯინგლო", უკვე სამ ხმაში - ახალ ძალას აპკრეფს. სარეპეტიციო ვარიანტში ფანდურის ძალიან შთამბეჭდავი ვერსიაც იყო...

კიდევ ახალი სიურპრიზი: რევაზ ლაღიძის ულამაზესი "გულს რად მიკლავ..." იგი ახლებურად იბადება. სიმღერა თითქოს "დაიშალა", მისი ფარული შრეები ამოინია, ბასიც და გიტარაც გეგონება, ჩასწვდნ თვით სულს სიმღერისა. მერე კი რა მოხდა? საცეკვაოს გარეშე გასძლებდნენ? ცხადია ვერა! ისევ და ისევ ამღერა უფარდობა ბასი ზურამ. გამოიჭრა დავით სხირტლაძეც - თავისი "სურთოვანი" პაუზებით, უსტატა აქცენტებით, ზუსტი მახვილებით, შე-

თამაშებული მოძრაობებით.

ვფიქრობ, რომ ამ მუსიკალურ "მოგზაურობებში" დიდი სინთეზია განხორციელებული.

საუკეთესოთაგანი თემა "კავკასიური". აქ კავკასიის გაერთიანების ნატურაა, რომელიც ზაზას თქმით, იქცევა დიდ და კეთილ ძალად. დაკვრა უსხარტესია, ცეცხლოვანი. დ. სხირტლაძის მოძრაობანი სახუმაროა, საკვიმატო. ის უთუოდ დიდი ოსტატია.

კიდევ ერთი ლირიკული, სალალობო იმერული სიმღერა დიდი ენერგიით იწყება. "გასწიე, ხარო, გასწიე" შანოსეული ინტერპრეტაცია კი უკვე სხვა რიგის ჩაღრმავებას გულისხმობს. კვლავ და კვლავ ზემო, ამაღლებულობა, ერთობის განცდა...

კიდევ ბევრი რამ შემოსთავაზა "შინმა" იმ დღეს მაყურებელს. რად ღირდა თუნდაც "შეხმრებით" ამოძახილები, "დიმიტარებისა" თუ სხვათა სახით...

მთლიანობაში ეს გახლდათ სიყვარულის ზეობა, გამობატული ჩინებული ნამღერითაც, ინსტრუმენტული შესრულების უმაღლესი პროფესიონალიზმითაც, ქორეოგრაფიის დახვეწილობითაც, რომელშიც ზოგან "სკულპტურული" სრულყოფაც კი იკითხება.

ცხადია მადლობა ეთქმის კომპანია "ჩვენებურებს", პირველყოფისა კი ზაზას, ზურას, მამუკას, ხვიჩას, ალექოს, ზვიადს, ორივე დავითს, ფუაჩს, მერაბს და ყველა იმ დამსწრეს, რომელთაც გაითავისეს "შინის" ნაღვანი, რის გარეშეც კონცერტი ვერ შედგებოდა. იგი აღმოჩნდა იმ სასურველი ერთსულელების გამომხატველი, რომელიც დღეს ასე გვაკლია და რისი მოთხოვნაც და მოლოდინიც შინაგანად ძლიერია ჩვენში.

რას ჩაიცვამს მიხელ ობამა 20 იანვარს

ვაშინგტონში, ამერიკის ისტორიის მუზეუმში აშშ-ს პირველი ქალბატონების სამოსის ექსპოზიციის კვლავაც გაიხსნა.

ექსპოზიციასზე, მარტა ვაშინგტონის ჩაცმულობიდან დაწყებული, ჟაკლინ კენედის ასიმეტრიული სამოსით დამთვარებული, წარმოჩენილია თუ როგორ იცვლებოდა აშშ-ს პრეზიდენტების მეუღლეების გარდერობი დროთა განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ჯონ კენედის მეუღლის ჩაცმულობის სტილს ახლაც ბაძავენ. ახლა ბევრი ფიქრობს, რომ აშშ-ს მომავალ "პირველ ლედის" - მიშელ ობამას მოდის სამყაროში ასეთივე ფურორის მოხდენა შეუძლია.

"ვისურვებდი, რომ მან თეთრს სახლს, ჟაკლინ კენედის მსაგავსად,

მოდის შეგრძნება დაუბრუნოს", - ამბობს ექსპოზიციის ერთ-ერთი დამთვალეიერებელი.

ჟურნალი "Women's Wear Daily" კი მიიჩნევს, რომ ბარაკ ობამას ცოლი მადალი მოდის სამყაროში ვარსკვლავი გახდება. "მიშელ ობამას ჩაცმულობის სტილი შთამბეჭდავია... გვერდზე გადაეკი ანჯელინა და შენც, მადონა...", აღნიშნულია ჟურნალში.

მიშელ ობამასთვის მართლაც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა აშშ-ს პრეზიდენტის ინაუგურაცია და 20 იანვრის საზეიმო წვეულება. თუ რას ჩაიცვამს ამ დღეს პირველი ლედი, ეს ჯერ საიდუმლოა. დიზაინერი მარია კორნეხო, რომლის ტანსაცმელსაც მიშელ ობამა პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის მსვლელობი-



სას ატარებდა, მიიჩნევს, რომ მან უპირველესად იმაზე უნდა იფიქროს, როგორი იქნება მისი კაბა 20 ნლის შემდეგ.

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტების მეუღლეების ჩაცმულობაზე საუბრისას, მარია კორნეხო აღნიშნავს, რომ მათ შორის რამდენიმე ვულგარულობითა და უგემოვნობით გამოირჩეოდა.

ჯენი ფლოიდი, რომელიც საუკეთესოდ ფიქრევა მოდისა და შოუბიზნესის ტენდენციებში, ყურადღებით ადევნებს თვალს იმას, თუ როგორ იცვამს მიშელ ობამა. "ის ტანსაცმელს ხშირად ჩვეულებრივი ამერიკელი ქალებისთვის განკუთვნილ მაღაზიებში იძენს", - აცხადებს ფლოიდი. მის მიერ ერთერთ მაღაზიაში, სახელწოდებით -

"H&M" ნაყიდ კაბას მისის ობამა მეუღლის საპრეზიდენტო კამპანიის პერიოდში ატარებდა. ყვეთელი სეიტერი და ბლუზი, რომელიც მიშელ ობამა ჯერ საუბრისა დადაცემამი - "ლამის შოუ" გამოცემაში, მას შემდეგ "გასაღდა", რაც მან განაცხადა, რომ ისინი ინტერნეტის საშუალებით შეიძინა.

უკვე ცნობილია თუ ვინ შეეკრავს კოსტიუმს, რომელსაც 20 იანვარს ბარაკ ობამა ჩაიცვამს. მასზე "Hart Schaffner Marx" - ის ფირმის დიზაინერები მუშაობენ. აღსანიშნავია, რომ ეს ფირმა ობამას აგვისტოს შემდეგ აცემეს, რაც დემოკრატიული პარტიის ნაციონალურ ყრილობაზე ის აშშ-ს პრეზიდენტის კანდიდატად ოფიციალურად აირჩიეს.

2 წლის გობონა და მხატვარი შიმპანზე

მელბურნში ორი წლის ბავშვის ექსპოზიცია გაიხსნა

საინფორმაციო საშუალებები, მათ შორის: BBC და CNN, აქტიურად აშუქებენ ექსპოზიციებს, რომლებიც ხან ცნობილ გალერეებში ეწყობა, ხანაც აუქციონებისათვის. ასეთი გამოფენების შემთხვევაში, განსაკუთრებული ადგილი საქვეყნოდ აღიარებული ავტორების ნაწარმოებებს უკავია. დამთვალეობა ინტერესს თანამედროვე ხელოვნების წარმომადგენლების ნამუშევრებიც ხშირად იწვევს. იშვიათად კი, საზოგადოებისა და საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში ექცევა ექსპოზიციები, რომლებიც სხვადასხვა ფაქტორების გამო საინტერესო და დამაინტრიგებელი.

ერთ-ერთი ასეთი გამოფენა ახლახანს მელბურნში, "Brunswick Street Gallery"-ში გაიხსნა. მისადმი განსაკუთრებული ინტერესი კი იმან გამოიწვია, რომ ექსპოზიციის ავტორი ორი წლის გობონა - აელიტა ანდრესია (Aelita Andre). ამის შესახებ ინფორმაცია, პირველად, "The Independent"-მა გაავრცელა.

აელიტა ანდრესის აბსტრაქტული ნამუშევრები ამ გალერეის დირექტორს, მარკ ჯემისონს (Mark Jamieson) ფოტოგრაფმა ნიკა კალაშნიკოვამ (Nikka Kalashnikova) აჩვენა და ერთადერთი რაც მათი ჩვენებისას

უთხრა ის იყო, რომ მხატვრის სახელი და გვარი აელიტა ანდრე გახლდათ. ფოტოგრაფს არ უთქვამს, რომ აელიტა მისი შვილია, რომლის ასაკიც ორი წელია.

აელიტას მხატვრის დათვალეობის შემდეგ, მარკ ჯემისონი საკუთარ გალერეაში უცნობი მხატვრი ნამუშევრების გამოფენას დასთანხმდა. მოგვიანებით, როდესაც აელიტას ვინაობა ცნობილი გახდა, ჯემისონმა, მართალია ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, მაგრამ მაინც გადაწყვიტა გამოფენაზე ორი წლის გობონას ნამუშევრები დაეტოვებინა და მათი ნახვის საშუალება დამთვალეობისთვისაც მიეცა.

როგორც ნიკა კალაშნიკოვა ირწმუნება, მან და მისმა ქმარმა, მხატვარმა მაიკლ ანდრემ მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტეს, არ განეცხადებინა მათი შვილის ვინაობა, რომ აელიტას ნამუშევრები სათანადოდ, მხოლოდ მხატვრული თვალსაზრისით შეეფასებინათ და გობონას ასაკის გამო, მათ ექსპონირებაზე უარი არ განეცხადებინათ.

ალსანიშნავია, რომ გაზეთის - "The Age" მხატვრული განყოფილების რედაქტორმა, რობერტ ნელსონმა აელიტას ნახატები აღმოსავლური შირმების მოხატულობას შეადარა.

ამჟამად აელიტა ანდრესი ნახატები



კონგოს ნამუშევარი

300-დან 2 ათას დოლარამდე შეფასებული.

თუმცა, მელბურნში ახლახანს გახსნილი აელიტა ანდრეს ნამუშევრების ექსპოზიცია ერთადერთი არ გახლავთ, რომელმაც საზოგადოების ინტერესი ავტორის მიზეზით გამოიწვია.

ახალის გვერდით, რამდენიმე

წლის წინანდელ შემთხვევასაც ვაგვისენებთ, როდესაც თანამედროვე ხელოვნების აუქციონზე, არც მცტი არც ნაკლები, შიმპანზე ნახატები გამოფინეს.

უფრო კონკრეტულად კი, შიმპანზე ნამუშევრები დამთვალეობებმა 2005 წელს, ლონდონის თანამედროვე

ხელოვნების აუქციონზე იხილა. CNN-ის მიერ გავრცელებული ეს ინფორმაცია კი, იმდენად სკანდალური და დამაინტრიგებელი აღმოჩნდა, რომ მასზე ქვეყანა ალაპარაკდა.

ამ შიმპანზეს მეტსახელი გახლდათ კონგო, რომლის მიერ შექმნილმა ნახატებმა მონაწილეობა მიიღო აუქციონის სახლში - "Bonhams" გამართულ გაყიდვებში. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ შიმპანზეს ნახატების გვერდით, იქ გასაყიდად ენდი უორპოლისა და რენუარის ნამუშევრებიც გაიტანეს.

ამ აუქციონის ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ კონგოს საშუალო ზომის სამ ნახატში, რომლებიც ქალაქში ტემპერის გამოყენებით იყო შექმნილი, 1130-დან 1500 დოლარამდე აიღებდნენ. საბოლოოდ, მათი ვარაუდები გამართლდა.

საინტერესოა, რომ ამ აუქციონთან დაკავშირებით გამოცემულ კატალოგში იუნყებია, რომ შიმპანზე, სახელად კონგო, 1954 წელს დაიბადა და მას, დაახლოებით, 400 ნახატი 2-დან 4-წლამდე აქვს შექმნილი ცნობილი მეცნიერის დესმონდ მორისის (Desmond Morris) ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ კონგოს ნამუშევრიდან ერთ-ერთი, თავის დროზე, პაბლო პიკასომ შეიძინა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ერთიანი საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს საერთაშორისო ტენდერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებული პატიმრებისა და მსჯავრდებულების სამედიცინო-სადაზღვეო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი:

სამედიცინო-სადაზღვეო მომსახურება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებულ პატიმრებსა და მსჯავრდებულებზე; სულ 22 000 კაცი - ლიმიტარულ, ხარჯების 100%-ის ანაზღაურებით;

სავალდებულო გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარება - სასწრაფო სამედიცინო დახმარების განევა პატიმრისთვის ადგილზე და მისი ტრანსპორტირება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებაში.
- ამბულატორიული მომსახურება - ნებისმიერი დარგის სპეციალისტის კონსულტაცია, ინსტრუმენტული გამოკვლევები, ლაბორატორიული გამოკვლევები, ამბულატორიული მკურნალობა.
- სტაციონარული მკურნალობა - გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული მკურნალობა, ქირურგიული ოპერაციების ხარჯების ანაზღაურება, წინასაოპერაციო გამოკვლევების და სტაციონარში ყოფნისას საჭირო სხვა მომსახურების განევა.
- მედიკამენტებით უზრუნველყოფა და შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება - ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურება.
- სტომატოლოგიური მკურნალობა - კბილის მწვავე ტკივილის გაყურება, კბილის დაბუნა, ამოღება, რენტგენი, პირის ღრუს ქირურგიული ოპერაციები, გადაუდებელი სტომატოლოგია, აუცილებელი პროთეზირება.
- ციხის ექიმის მომსახურება - ყველა საპრობილემო/იზოლატორში ზოგადი პროფილის ექიმის არსებობა, რომელიც გაუწევს პატიმარს პირველად დახმარებას, კონსულტაციას, მისცემს შესაბამის ტინაშულელებს, გადაამისამართებს საჭირო პროფილის სპეციალისტთან ან გამოკვლევებზე. საჭიროების შემთხვევაში მოიწვევს კონსილიუმს სხვა სპეციალისტების მონაწილეობით და წერს საბოლოო დასკვნას დაზღვეულისთვის საჭირო მკურნალობის შესახებ.

გასათვალისწინებელი აუცილებელი პირობები:

- სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების მიწოდება ორგანიზებული უნდა იყოს დონეებზე. პირველადი ჯანდაცვის და სტაციონარულ დონეებს შორის რეფერალური სისტემით უნდა მოხდეს სისტემაში სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის უზრუნველყოფა.
- სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უნდა მოეწყოს სამედიცინო ცენტრები, სადაც ზოგადი პროფილის ექიმი ციხის მოსახლეობას გაუწევს ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას და რომელიც ალტურგიული უნდა იყოს აუცილებელი სამედიცინო მოწყობილობებითა და ინსტრუმენტებით (სამედიცინო ალტურგიის და ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში);
- სპეციალიზებული ამბულატორიული და გადაუდებელი სტაციონარული სამედიცინო მომსახურება ორგანიზდება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნას ოპტიმალური გეოგრაფიული ხელმისაწვ-

დომობა (სტომატოლოგიური და ფსიქიატრიული სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურების განევა მოხდება ადგილზე);

4. გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება ტარდება პენიტენციურ დაწესებულებასთან ახლომდებარე სამედიცინო დაწესებულებაში (წინასწარ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე);
5. გეგმიური სტაციონარული მომსახურება შესაძლებლობის მიხედვით ტარდება მსჯავრდებულთა და პატიმართა ახალ სამკურნალო დაწესებულებაში ზოგადი პრაქტიკის ექიმის მიმართვის საფუძველზე, აგრეთვე ახლომდებარე სამედიცინო დაწესებულებაში (წინასწარ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე);
6. ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა არსებობდეს მედიკამენტების ბაზა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სასიცოცხლოდ აუცილებელი (ესენციური) სამკურნალო საშუალებებით. ექიმი-ფარმაცევტი (პროვიზორი) უნდა იყოს პასუხისმგებლის მედიკამენტების განკარგვაზე;
7. დაზღვევით გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა სახის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება, რომლის ჩატარების გადავადება ვერ მოხდება პატიმრის სასჯელის ვადის გასვლამდე.

(ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში).

3. მომსახურების განევის პირობები - მომსახურების განევა უნდა განხორციელდეს 2009 წლის 1 თებერვლიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. მიწოდების ადგილი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპრობილემო-დაწესებულებებში:

1. ქ. თბილისის N1 საპრობილემო; მის: ქ. თბილისი გორგასლის ქ. N85;
2. ქ. თბილისის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება; მის: ქ. თბილისი გლდანის მე-7 მ/რ, პლიუს 2 კმ;
3. ქ. თბილისის N7 საპრობილემო; მის: ქ. თბილისი გულუას ქ. N4;
4. ქ. თბილისის ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულება; ქ. თბილისი აბუსერძი-ტბელის ქ. N11;
5. ქ. თბილისის N10 დაწესებულება; მის: ქ. თბილისი ავჭალის გაბატეცილი N17;
6. ქ. თბილისის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება; მის: ქ. თბილისი გრ. ხანძელის ქ. N3;
7. ქ. რუსთავის N1 დაწესებულება; მის: ქ. რუსთავი მშენებელთა ქ. N60;
8. ქ. რუსთავის N2 დაწესებულება; მის: ქ. რუსთავი მშენებელთა ქ. N64;
9. ქსნის N7 დაწესებულება; მის: მცხეთის რაიონი დაბა ქსანი;
10. ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება; მის: მცხეთის რაიონი დაბა ქსანი;
11. N8 დაწესებულება; მის: ქ. წყალტუბო სოფ. გეგუთი (ვარციხის დასახლება);
12. N9 დაწესებულება; მის: ხონის რაიონი ყოფ. ჩაის მეურნეობა;
13. N2 საპრობილემო; მის: ქ. ქუთაისი ხარებაგას ქ. 85;
14. ბათუმის N3 საპრობილემო; მის: დაბა ხელგაჩაური ურეხის დასახლება;
15. ზუგდიდის N4 საპრობილემო; მის: ქ. ზუგდიდი ც. დადიანის ქ. N9;
16. ქ. რუსთავის N6 საპრობილემო; მის: ქ. რუსთავი იაღლუჯას მიმდებარე ტერიტორია.
17. ქ. თბილისის N8 საპრობილემო; მის: ქ. თბილისი გლდანის 7 მ/რ, პლიუს 2 კმ.

შენიშვნა: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალი დაწესებულების გახსნის შემთხვევაში, ანალოგიური მომსახურება უნდა განხორციელდეს იმავე დაწესებულებაშიც.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და

სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 29 იანვრის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N35. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 29 იანვარს 14 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 6.1. იურიდიული პირისათვის:
 - ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
 - ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვით მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- 6.2. ფიზიკური პირისათვის:
 - ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გავლენის ან რეაბილიტაციის საქმი;
 - ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტი-სადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;
 - გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორისათვის.
8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამატებითი ვადებში არ წარმოადგინონ წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

9. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ვეგემპლარად (ერთი ვეგემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით და ერთი ვეგემპლარი ქსეროასლის სახით).

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგინს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლება განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 29 იანვრის 12 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, სახელმწიფო ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 302003174. გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სამედიცინო-სადაზღვეო მომსახურების შესყიდვა. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N35.

12. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების საერთო ფასის 1%-ს ოდენობით.

13. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

14. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში. მისამართზე: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N35. ტელ: 75-23-83.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის აცხადებს და ტენდერს საავტომობილო საშუალების შესყიდვის მიზნით და აწვევს ტენდერში მონაწილეობის მიზნით დასაინტერესებულ პირს. დაინტერესების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი. შესყიდვის ობიექტა:

დღოტი	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ჩათვლილობა
დღოტი №1	საავტომობილო ტენდერი ოქტანური რიცხვით აბინაჟები 95	243000 ლიტრი
დღოტი №2	საავტომობილო ტენდერი ოქტანური რიცხვით აბინაჟები 91	87200 ლიტრი
დღოტი №3	დინდელის საშუალო - ვერის ფაბრიკა 30PPH	77600 ლიტრი

საქმის მიზნების კადა განხორციელება ხელშეწყობის გაფორმებულ 2009 წლის 31 დეკემბრის მანძილად.

შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე 2009 წლის ბალომდე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის შედეგად სატენდერო მოხატვების გადახდამდე შემოსავლურ თანხანაგებამ, ხოლო სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაცემის ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოხატვების 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამატებითი კვათარის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 10 იანვრიდან 30 იანვრამდე შესაძლებელია განხორციელდეს ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №37-ა, ტაძრის სასახლე. საპროექტ-ოხების წარმომადგენლობის ოფისი.

სატენდერო მოხატვების გადახდილი უნდა იქნეს ფანაშთა სამინისტროს სამსახურში, რომლის რეგისტრაცია: სახელმწიფო სამსახურის სახანაო კოდა: 302003000, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მართლმართლ საშრობო-ოსეთის ადმინისტრაციის სატენდერო მოხატვების.

პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება შედგენილი ქართულ ენაზე 2 (ორი) კუპონში (ერთი ორიგინალი, ერთი ასლი) დასაბუთებულ კონტაქტით უნდა წარმოადგინოს 2009 წლის 30 იანვრის 10:00 საათიდან 14:00 საათამდე შესაძლებელია განხორციელდეს ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №4 საპროექტ ოფისის ადმინისტრაცია.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეყავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- იურიდიულ ძალისაგან:
 - ა) ცნობა საჯარო რეგისტრაციდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ვადები;
 - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიზნით არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

- კ) ცნობა საჯარო რეგისტრაციდან, რომ მის მიზნით არ არის დადებული ვადები;
- დ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიზნით არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
- ე) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიზნით არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ფიზიკურ ძალისაგან:

- ა) ცნობა უფლებამოსილი სახელმძღვანელო დასახელებულიდან, რომ ფიზიკური პირი ქვეყნიდანაა;
- ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიზნით არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

იურიდიულ ძალისაგან:

- სატენდერო წინადადება უნდა შეყავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონ/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმოწერის სახელს, გვარს.

ტენდერში გამოცხადებული სატენდერო წინადადების უსრულყოფიანად გარანტია სატენდერო წინადადების დირექტორის 15%-ის ოდენობით (შრომის მოქმედების კადა 30 დღით უნდა აღებული იქნას სატენდერო წინადადების მოქმედების კადას) და შედეგად უსრულდების უსრულყოფიანად საბანკო გარანტია, ხელშეწყობის დირექტორის 3% ოდენობით (რომლის მოქმედების კადა არ უნდა იყოს ხელშეწყობის მოქმედების კადაზე ნაკლები).

შენიშვნა: არარეგისტრირებული იურიდიული პირები საკვალიფიკაციო მონაცემების დამატებითი დოკუმენტაციის უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციის ქართულ ენაზე ნოტარიულად დამადასტურებული თარგმანის სახით.

ხელმოწერილი საკვალიფიკაციო მონაცემები ასევე უნდა სუბსტირირდეს მომსახურების გაცემის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში. აღტენდერო წინადადებები არ განხილდება.

წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, რომლის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც ან თუ რომელიმე ცნობა ეკლავი აღმოჩნდება, სატენდერო კომისიის უფლება იქნის მისი მონაცემების პრეტენდენტის დასაჯილდოება.

დავთანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დასადასტურებლ დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას სატენდერო კომისია არ განხილავს. ტენდერის შედეგად თითოეულ დღეზე გამოვლენილია ერთი განმარტებული.

განაცხადით ინფორმაციისთვის მისამართ სატენდერო ანგარიშს ტელეფონზე: 895-95-83-21 მანუაჩ მკადა.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეყნებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6) აცხადებს ტენდერს ხუთ ლოტად აჭარის ა.რ. საავტომობილო გზების მონაკვეთებზე დამცავი გაბიონის მონაცემების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, კერძოდ:
 - ლოტი N1: ქობულეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის „ჩაქვი-ჩაისუბანი-ხალა“-ს კმ.3+800 მონაკვეთზე დამცავი გაბიონის მონაცემების სამუშაოებზე.
 - ლოტი N2: ქობულეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის „რ.კ. გადასასვლელი-ბობოყვათი-დაგვა-ქვედა აჭყვა“-ს კმ.5+760 მონაკვეთზე დამცავი გაბიონის მონაცემების სამუშაოებზე.
 - ლოტი N3: მდინარე ბარცხანის მარჯვენა ნაპირის გამაგრება დამცავი გაბიონის მონაცემებით.
 - ლოტი N4: მდინარე ბარცხანის მარცხენა ნაპირის გამაგრება დამცავი გაბიონის მონაცემებით.
 - ლოტი N5: ხულოს მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის „ბელეთის გზა“-ს კმ.1+500 მონაკვეთზე დამცავი გაბიონის მონაცემების სამუშაოებზე.

და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- მიწოდების სასურველი ვადაა 2009 წლის 20 ივლისამდე პერიოდი.
- დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორეგულირებულად, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 4 თებერვლიდან 2009 წლის 5 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. №6.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:
 - 1 იურიდიული პირისათვის:
 - ა) ცნობა - საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია.
 - ბ) ცნობა - სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება
 - გ) ცნობა საჯარო რეგისტრაციდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
 2. ფიზიკური პირისათვის:
 - ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
 - ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).
 - 3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
 - ა) შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის, ფაქსის, საბანკო რეკვიზიტები);

- ბ) ცნობა იურიდიული სტატუსის შესახებ (იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრაციდან);
- გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ;
- დ) ინფორმაცია ანალოგიური სახის სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ, (სამუშაოების მითითებით, რომელიც მსურველს უნდა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);
- ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ, დამონებული აუდიტის მიერ.
- ვ) ცნობა ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.
- ზ) ცნობა სუბ-კონტრაქტორის აყვანის შესახებ.
5. ა) ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამონებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.
 - ბ) მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამონებული ინდივიდუალურად.
6. ქართულ ენაზე შედგენილ განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.
7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
8. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2009 წლის 10 იანვრიდან 2009 წლის 4 თებერვლის 17 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (დეპარტამენტის სპეც.ანგარიშზე რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი, ანგარიშის №897293000, ბანკის კოდი: 220101502, მიმღები აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეყნებო დაწესებულება-სახაზინო სამსახური. ს/კოდი-24544844, დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის) გადახდის შემდეგ, შეიძლება მისამართზე; ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6, პირველი სართული ოთახი N16.
9. დავთანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემებს და სატენდერო წინადადებას კომისია არ განიხილავს.
10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის წევრი: კობა ხინკაძე ტ. 7-20-87; ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6.

სატენდერო კომისია

სპორტი

კვიპროსი ლარნაკაში გვიმასპინძლებს

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის წლის მეორე მატჩს 28 მარტს კვიპროსში გამართავს. კვიპროსთან დაპირისპირე-

ბამდე ქართველები 11 თებერვალს ირლანდიას ესტუმრებიან.

კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა თუ სად

უმასპინძლებს კვიპროსის ნაკრები ექტორ კუპერის გუნდს - მატჩი ლარნაკაში სტადიონ "ანტონის პაპადოპულოსზე გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფში ჩვენ უკვე ვუმასპინძლეთ კუნძულებს, ის შეხვედრა 11 ოქტომბერს 1:1 დასრულდა.

"მანჩესტერი" საუკეთესო კლუბების სიას რაუდბა სთავაზობს



სტატისტიკამ "მანჩესტერი" საუკეთესოდ მიიჩნია

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია (IFFHS) მუდმივად აქვეყნებს მსოფლიო საფეხბურთო კლუბების რეიტინგს. ამჯერად გამოქვეყნდა მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბის სია. ამ სიაში ორი ქართული გუნდიც აღმოჩნდა - თბილისის "დინამო" და "ვიტ ჯორჯია". IFFHS-ი მსოფლიოს საუკეთესო კლუბს 1991 წლიდან ყოველწლიურად ავლენს. მასში გათვალისწინებულია ამა თუ იმ კლუბის მიერ ეროვნულ ჩემპიონატში, ქვეყნის თასზე და ოფიციალურ საკლუბო ტურნირებში

ნაჩვენები შედეგები. ქართულ კლუბებს შორის საუკეთესო შედეგი აქვს თბილისის "დინამოს", რომელმაც 2007 წლის რეიტინგთან შედარებით ადგილი შეინარჩუნა. მას 75,0 სარეიტინგო ქულა აქვს და ასეთივე მაჩვენებლის მქონე კიდევ ხუთ კლუბთან 244-249-ე ადგილებს იყოფს. წინა წელს მას 248-ე ადგილი ეკავა. მსოფლიოს საუკეთესო კლუბებს შორის მეორე ქართული გუნდია თბილისის "ვიტ ჯორჯია", რომელიც 69,0 ქულით 8 კლუბთან 284-292-ე ადგილებს ინაწილებს. წინა რეი-

გთავაზობთ IFFHS-ის ვერსიით მსოფლიოს ოც საუკეთესო კლუბს:

- 1."მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი).....292,0
- 2."ბაიერნი" (გერმანია)272,0
- 3."ლივერპული" (ინგლისი).....267,0
- 4."ბარსელონა" (ესპანეთი).....266,0
- 5."ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა)262,0
- 6."ჩელსი" (ინგლისი).....253,0
- 7."რომა" (იტალია).....240,0
- 8-9."ესტუდიანტესი" (არგენტინა)230,0
- 8-9."ფიორენტინა" (იტალია).....230,0
- 10."სან პაულუ" (ბრაზილია).....223,0
- 11."ლიონი" (საფრანგეთი).....221,0
- 12."არსენალი" (ინგლისი)214,0
- 13."ფლუმინენსე" (ბრაზილია)212,0
- 14."იუვენტუსი" (იტალია).....200,0
- 15."სან ლორენსო" (არგენტინა)198,0
- 16."ინტერი" (იტალია)196,0
- 17."დინამო" კიევი (უკრაინა)191,5
- 18."სპორტინგი" (პორტუგალია).....190,0
- 19."ატლეტიკო" (ესპანეთი)183,0
- 20."პანათინაიკოსი" (საბერძნეთი).....182,5
- 244-249."დინამო" თბილისი (საქართველო).....75,0
- 284-292."ვიტ ჯორჯია" (საქართველო).....69,0

ტინგთან შედარებით, ვეტერიანარებმა მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადეს - 2007 წელს მათ 367-ე ადგილი ეკავათ. 2008 წლის რეიტინგში პირველი ადგილი ინგლისის პრემიერლიგის ჩემპიონს, ევროპის ჩემპიონთა ლიგისა და საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულ "მანჩესტერ იუნაიტედს" უჭირავს. მეორე ადგილზეა მიუნხენის "ბაიერნი", მესა-

მეზე კი - ინგლისის "ლივერპული". ასეთი რეიტინგები დიდ ნდობას არ იმსახურებს, რისი ნათელი დასტურიცაა ესპანური "ბარსელონას" მეოთხე ადგილი. ამ სეზონში უმაღლეს დონეზე მოთამაშე კატალონიელს "ბაიერნმა"? და "ლივერპულმა"? გაუსწრეს. იტალიური "მილანი" კი საერთოდ ვერ მოხვდა საუკეთესო ოცეულში.

ოდიკაძის უნგრული არჩევანი

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა, ან უკვე ყოფილმა დინამოელმა დავით ოდიკაძემ საბოლოოდ უნგრულ "დიორ ეტოზე" შეაჩერა არჩევანი. ახლა 27 წლის ფეხბურთელი სავიზო საკითხებს აგვარებს და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადების პროცესში მყოფ ახალ გუნდს დიორში ამ დღეებში შეუერთდება. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი დავით ოდიკაძე უნგრეთში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩადის და "დიორ ეტოსთან" კონტრაქტს სამედიცინო შემოწმებისთანავე მოაწერს ხელს. მაღიარები თანახმა არიან მასთან შრომითი ხელშეკრულება სინჯების გარეშე გააფორმონ. სხვათა შორის, დიორელებს ახალი წლიდან ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავთ - უნგრულ გუნდს დრაგოლიუბ ბეკვალაცი განვრთნის. ისევე როგორც საქართველოში, უნგრეთში სეზონი 7 თებერვალს უნდა განახლდეს. ამ დღეს? დიორ ეტო ლიგის თასის ჯგუფური ეტაპის მე-5 ტურში "ლომბარდ პასს" შეხვდება. ჩემპიონატში კი უახლოესი ტური 21 თებერვალს გაიმართება. პირველი წრის შემდეგ ოდიკაძის ახალი გუნდი 16-გუნდიან უმაღლეს ლიგაში 18 ქულით მე-13 ადგილზეა. გათამაშებას 33 ქულით "დებრეცენი" ლიდერობს. "დიორში" 11 გატანილი გოლით უნგრეთის ჩემპიონატის მთავარი მეგობრე პეტერ ბაჟუბატი თამაშობს. დავით ოდიკაძე? დიორ ეტოს ერთადერთი ქართველი არ იქნება. გუნდის დუბლიორთა შემადგენლობაში ირიცხება ახალგაზრდა მეკარე მიხეილ გვაზავა.

ევროლიგა ქართველთა გარეშე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ტენდერს 2 ლოტად საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის სრული ტექნიკური მომსახურების შესყიდვის თაობაზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის ავტოპარკი წარმოდგენილია თბილისსა და რეგიონებში. მომსახურება უნდა განხორციელდეს: I ლოტი - ქალაქ თბილისში და II ლოტი - ქალაქ ქუთაისში - ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 10 იანვრიდან 2009 წლის 30 იანვრის 15:00 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასალის 24, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა მე-2 სართული, ოთახი N214. სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში ანგ. N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300773174 გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ავტოტექნიკური მომსახურების ტენდერი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 10 იანვრიდან 30 იანვრის 15 საათამდე, შემოაღნიშნულ მისამართზე. წინადადების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით შემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 30 იანვარს 15 საათზე. პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას: იურიდიული პირისათვის: - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; - ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან); - ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან); - ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ფიზიკურ პირისათვის: - ინდივიდუალური მენარმის მონაწილეობა; - ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან); - პირადობის მონაწილეობის ქსეროასლი; ამ დოკუმენტებთან ერთად, როგორც ფიზიკურმა ისე იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ: - ცნობა შსს-დან ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის ნასამართლობის შესახებ; - ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან); - სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს და ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. - ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს (საკონტაქტო პირი - კახა ოქროჯანაშვილი) ტელეფონის ნომერი -405184. მისამართი: გორგასალის 24, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, ოთახი N214. შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული სახით. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით. შემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში. სატენდერო კომისია



ქალაქ თბილისის მერი

06.01.2009
010.260.030.38.101.012.607.
ბრძანება N61

30 დეკემბერი 2008წ.

ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ოპ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

გვრძანებ:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულება (დანართი 1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2008 წლის 26 თებერვლის N10 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს 2009 წლის 8 იანვრიდან.

გიორგი უგულავა

დანართი N1

ქ. თბილისის მერიის საქალაქო საფინანსო სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის ქ. თბილისის მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მართვის მიზნით შექმნილი ორგანო, რომელიც ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულია. სამსახურის ძირითადი ფუნქციაა ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, ქ. თბილისის ბიუჯეტის აღსრულება, ქ. თბილისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ქ. თბილისის თვითმმართველის ორგანოს სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე დებულებით. მათი შესრულების უზრუნველსაყოფად სამსახური წყვეტს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს.
3. სამსახური ანგარიშვალდებულაა ქ. თბილისის მერის წინაშე.
4. სამსახურის კომპეტენცია, უფლებამოსილება, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის წინამდებარე დებულებით.
5. სამსახურს აქვს შტაბში, ბლანკი, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით და ბანკში შესაბამისი საბიუჯეტო (სალარე და სავალუტო) ანგარიშები.
6. სამსახურის დაფინანსების წყაროა ქ. თბილისის ბიუჯეტი.
7. სამსახურის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, შარტავას N7.

მუხლი 2. სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:
 - ა) „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონებით და ქ. თბილისის დედაქალაქის შესახებ ქ. თბილისის (მისი რაიონების) ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, ბიუჯეტის აღსრულება და შესრულების ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება;
 - ბ) ქ. თბილისის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანალიზი, შესაბამისი ინფორმაციებისა და წინადადებების მომზადება;
 - გ) ქ. თბილისის ბიუჯეტის გადასახდელების, აგრეთვე ქალაქის საბიუჯეტო მონაცემებისა და კავშირებულ მონაცემთა ბაზის ფორმირება და მონაცემთა ანალიზი;
 - დ) დადგენილი წესის შესაბამისად ადგილობრივი გადასახდელებისა და მოსაკრებლების შემოღებაზე წინადადებებისა და გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
 - ე) ქ. თბილისის მერიის ხელმძღვანელობის წინაშე წინადადების წარდგენა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის მიზნით.
 - ვ) ქ. თბილისის საბიუჯეტო დაწესებულებებში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობის გაუმჯობესების და საბიუჯეტო სახსრების მოქმედი კანონმდებლობის დაცვით გამოყენებისათვის მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა.

2. სამსახური მისი საქმიანობის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:
 - 2.1 ადგენს ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტს, რისთვისაც:
 - ა) შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტის მოსამზადებლად საჭირო საორგანიზაციო სამუშაოებს და უზრუნველყოფს მის შესრულების ორგანიზაციას;
 - ბ) კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებს საბიუჯეტო განაცხადის (მაჩვენებელთა განმარტების) ფორმებს, დადგენილ ვადებში ამზადებს საბიუჯეტო ცირკულარს მხარჯავ დაწესებულებებზე დასაყვანად, ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტის მოსამზადებლად.
 - გ) უზრუნველყოფს ქ. თბილისის საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან ან მხარჯავი დაწესებულებებიდან განაცხადის ფორმებისა და კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ინფორმაციის (მონაცემების) მიღება - დამუშავებას, განხილვას. საჭიროების შემთხვევაში ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტში შეტანამდე ამზადებს წინადადებებს მათ დასაზუსტებლად.
 - დ) შემოსულობების პროგნოზირებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის და სხვა საქალაქო სამსახურებთან კოორდინაციით;
 - ე) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ადგენს ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც მოიცავს: ქ. თბილისის ბიუჯეტის შემოსულობების საერთო თანხას, ადგილობრივ ბიუჯეტში ჩასარიცხი მოსაკრებლების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარებისა და სხვა შემოსულობების გადასახადების წყაროების გამოყოფით და გადასახდელების საერთო თანხას საბიუჯეტო ასიგნებების მხარჯავ დაწესებულებებზე და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, დასაფინანსებელ პროგრამებსა და ღონისძიებებზე განაწილებით, ქვეყანაში მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციების შესაბამისად;

ვ) სამსახური ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტს საკრებულოს შესაბამის გადაწყვეტილების პროექტთან ერთად დადგენილ ვადაში წარუდგენს განსახილველად ქ. თბილისის მთავრობას, შემდგომში ქ. თბილისის საკრებულოში წარსადგენად;

ზ) დადგენილი წესის თანახმად ამზადებს ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტს ქ. თბილისის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - მასალებს მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების განაწილების შესახებ, განწერაში ცვლილების შესატანად;

თ) საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს, გასული წლის საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთის მიმდინარე წელს გამოყენების თაობაზე;

2.2 ახორციელებს ქ. თბილისის ბიუჯეტის აღსრულებას, რისთვისაც:

ა) ადგენს დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერას კვარტალების მიხედვით;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან შემოსულობების შესახებ მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, ტვირთავს საბოლოო ინფორმაციას პროგრამულ ბაზებში, აწესებს მონიტორინგს ფაქტიური შესრულების მიმდინარეობაზე;

გ) დადგენილი წესის თანახმად ამზადებს მერიის საბიუჯეტო ვალდებულებებს და საგადახდო მოთხოვნებს.

დ) იღებს და ამუშავებს მხარჯავი დაწესებულებების (მათ შორის რაიონული გამგებობების) საბიუჯეტო ვალდებულებებს და საგადახდო მოთხოვნებს.

ე) დადგენილი წესის მიხედვით ახდენს მხარჯავი დაწესებულებების ვალდებულებების რეგისტრაციას და რეგისტრირებული საბიუჯეტო ვალდებულებების შესაბამისი საგადახდო მოთხოვნის თანხის გადახდას;

ვ) თანხის წინასწარ გადახდისას დამონმების დოკუმენტის დადგენილ ვადაში წარმოდგენლობის შემთხვევაში საფინანსო ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს იმავე ეკონომიკური მიზნით ახალი ვალდებულების აღება და დამონმების დოკუმენტის დროულად წარმოდგენლობის შესახებ ყოველთვიურად აცნობებს შესაბამის მაკონტროლებელ ორგანოებს.

ზ) **Q**ქ.თბილისის მერის განკარგულების შესაბამისად ახორციელებს მერის სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფას;

2.3 სამსახური ახორციელებს ქ. თბილისის ბიუჯეტის ყოველკვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშის მომზადებას, რისთვისაც:

ა) უზრუნველყოფს ბიუჯეტის ყოველდღიური შემოსულობების შესახებ ინფორმაციის მიღებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისაგან, აღრიცხავს და აანალიზებს ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მდგომარეობას;

ბ) იღებს ინფორმაციებს ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებიდან, საბიუჯეტო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან საბიუჯეტო ხარჯების გამოყენების შესახებ;

გ) ადგენს ქ. თბილისის ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს და წარუდგენს ქ. თბილისის მთავრობას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს კონტროლის პალატას;

2.4 ადგენს ქ. თბილისის მერიის პერიოდულ და წლიურ საბუღალტრო ანგარიშებს.

2.5 უწევს მეთოდოლოგიურ დახმარებას, მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხარჯავ დაწესებულებებს და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სხვა ორგანიზაციებს საბუღალტრო აღრიცხვა - ანგარიშგების გაუმჯობესებისა და მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ხარჯვის დროს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების სწორად განხორციელების საკითხებზე;

2.6 ქმნის ერთიან კომპიუტერულ საინფორმაციო ბაზას, ახორციელებს საქმიანობის პროგრამულ უზრუნველყოფას, მომსახურებას;

2.7 ამუშავებს ქ. თბილისის საბიუჯეტო მაჩვენებლების სტატისტიკურ-საინფორმაციო მონაცემებს, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს მერიის ვებ-გვერდის განახლებაში. უზრუნველყოფს დადგენილი წესით მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადებას და მიწოდებას.

2.8 მოთხოვნის საფუძველზე ახდენს:

ა) ქ. თბილისის მთავრობის სახელით დადებული და ქ. თბილისის ადგილობრივი ქონების (მინის) სარგებლობისა და საკუთრების უფლებით გადაცემაზე შემდგარი გარიგებებით გათვალისწინებული თანხებისა და რიგ შემთხვევებში დარიცხული საურავის, პირგასამტეხლოსა და ჯარიმის თანხების გაანგარიშებას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდებას შესაბამის საქალაქო სამსახურებზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შედეგად საურავებისა და ჯარიმების, აგრეთვე მოსაკრებლებისა და სხვა არასაგადასახადო შემოსავლების სახით, ქ. თბილისის ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების შესახებ.

გ) ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნების სარგებლობაში არსებულ ან/და თვითნებურად დაკავებული სახელმწიფოს საკუთრების მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით ქ. თბილისის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი მინის საფასურის ოდენობის გაანგარიშებას;

2.9 უზრუნველყოფს სამსახურში შექმნილი დოკუმენტების არქივისათვის გადაცემას.

მუხლი 3. სამსახურის უფლება-მოვალეობანი

1. სამსახურს უფლება აქვს:
 - ა) სამსახურის ფუნქციებს მიკუთვნებული საკითხების შესასრულებლად მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს საქალაქო სამსახურებისაგან, საბიუჯეტო დაწესებულებებისაგან, მერიის მიერ დაფუძნებული საწარმოებისაგან, რაიონული გამგებობებისა და შესაბამისი სახელმწიფო ინსტანციებიდან ქ. თბილისის ბიუჯეტის შედგენა - შესრულების პროცესთან დაკავშირებული მონაცემები, საჭიროების შემთხვევაში ცალკეული საკითხების განხილვისა და დამუშავებისათვის მოიწვიოს მათი წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს საჭირო ინფორმაცია.
 - ბ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებანი საქალაქო სამსახურებისა და სხვა დაინტერესებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობით.
 - გ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე დაამყაროს ურთიერთობანი და ითანამშრომლოს სხვადასხვა ქვეყნის ქალაქების ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

დ) მიავიწიოს სპეციალისტები საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გამოცდილების შესაძენად, კონფერენციებსა და სხვა შეკრებებში მონაწილეობის მისაღებად.

2. სამსახურის მოვალეობაა:

ა) საქმიანობის ძირითადი მიზნებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე განეული მუშაობის შესახებ, დადგენილი წესით წარუდგინოს პროექტები, ანგარიშები და სხვა სახის ინფორმაციები ქ. თბილისის მერს, საკრებულოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

ბ) განიხილოს ქალაქის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებიდან, სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული წერილები, ინფორმაციები, მოთხოვნები და მოქალაქეთა განცხადებები და საჩივრები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოამზადოს შესაბამისი მასალები, წინადადებები, დასკვნები და პასუხები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურული ერთეულები

1. სამსახური შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:
 - ა) საბიუჯეტო განყოფილება;
 - ბ) შემოსავლების განყოფილება;
 - გ) სახაზინო განყოფილება;



დ) საბიუჯეტო ვალდებულებებისა და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილება;

ე) ანალიტიკური განყოფილება.

2. სახაზინო განყოფილებას და საბიუჯეტო ვალდებულებებისა და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილებას აქვთ საკუთარი შტამპი.

3. საბიუჯეტო განყოფილება ახორციელებს:

ა) ქ. თბილისის საბიუჯეტო პროცესის რეგულირების ღონისძიებების შემუშავებას;
ბ) ქ. თბილისის ბიუჯეტის გადასახდელების, აგრეთვე საბიუჯეტო მონყობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის ფორმირებას, ანალიზს და შესაბამისი წინადადებების მომზადებას;

გ) ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების მომზადებას ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ, ამ საკითხებზე უწევს მეთოდოლოგიურ დახმარებას საბიუჯეტო ორგანიზაციებს;

დ) მხარჯავი დაწესებულებებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიხედვით ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების პროექტის მომზადებას კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობების შესახებ;

ე) საბიუჯეტო ცირკულარის მომზადებას, მონაწილეობის მიღებას ბიუჯეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრაში;

ვ) ცირკულარის შესაბამისად მხარჯავი დაწესებულებებიდან და საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მიღებული საბიუჯეტო განაცხადის ფორმების მიღებას და შემოწმებას;

ზ) საქალაქო სამსახურების, რაიონული გამგეობების და სხვა მხარჯავი დაწესებულებებიდან შესაბამისი ინფორმაციების, მასალების მიღებას და დამუშავებას;

თ) წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტის შედგენას - განსაზღვრავს შემოსულობების საერთო თანხას, ადგილობრივ ბიუჯეტში ჩასარიცხი მოსაკრებლებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღებ ფინანსურ დახმარებას და სხვა შემოსულობებს გადასახადების წყაროების გამოყოფით და გადასახდელების საერთო თანხას საბიუჯეტო ასიგნებების მხარჯავ დაწესებულებებზე და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, დასაფინანსებელ ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების, ქვეყანაში მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციების შესაბამისად. ამ სახით შედგენილ ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტს წარუდგენს სამსახურის ხელმძღვანელობას, შემდგომში ქ. თბილისის მთავრობის სხდომაზე განსახილველად. ამზადებს ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტის შესახებ ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების და ქ. თბილისის საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტს;

ი) წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების კვარტალურ ჭრილში დაბალანსებას და ადგენს შემოსულობებისა და გადასახდელების კვარტალურ განწერას და წარუდგენს სამსახურის ხელმძღვანელს დასამტკიცებლად;

კ) დამტკიცებულ კვარტალურ განწერას გაგზავნას შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის;

ლ) დადგენილი წესის შესაბამისად ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების პროექტის მომზადებას, ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან ერთად ქ. თბილისის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მ) დადგენილი წესის შესაბამისად ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების და საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანების პროექტის მომზადებას მხარჯავი დაწესებულებებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი ასიგნებების მთლიანი ოდენობიდან თანხების ერთ ან მეტ ასიგნებაზე გადანაწილების შესახებ, დამტკიცებულ განწერაში ცვლილების შეტანის მიზნით;

ნ) დამტკიცებული ბიუჯეტის და შემდგომში განხორციელებული ცვლილებების სამსახურის ერთიან კომპიუტერულ ბაზაში შეტანას;

ო) ქ. თბილისის ბიუჯეტის გადასახდელების კვარტალურ განწილებას და შესაბამისი ცვლილებების გადაცემას საბიუჯეტო ვალდებულებებისა და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების, სახაზინო და შემოსავლების განყოფილებებზე;

პ) მერის დავალების შესაბამისად მერის განკარგულების პროექტის მომზადებას მერის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ;

ჟ) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ქ. თბილისის ბიუჯეტის ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზებას, ამზადებს ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების პროექტს. უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციების მიღებას, დამუშავებას და ანალიზს. ამზადებს ბიუჯეტის შესრულების ინფორმაციას და ანგარიშს, მათ შორის მერის სარეზერვო ფონდის ანგარიშს, ქ. თბილისის მთავრობის სხდომაზე და შემდგომში ქ. თბილისის საკრებულოზე განსახილველად;

რ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიღებულ წერილებზე და მოქალაქეთა განცხადებებზე დასკვნებსა და პასუხების მომზადებას.

4. შემოსავლების განყოფილება ახორციელებს:

4.1 ქ. თბილისის ბიუჯეტის შემოსულობების მონაცემთა ბაზის ფორმირებას, ანალიზს და შესაბამისი წინადადებების მომზადებას;

4.2 დადგენილი წესის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებაზე წინადადებებისა და გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღებას;

4.3 სახელმწიფო ხაზინიდან ქ. თბილისის ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ელექტრონული და სხვა სახის ინფორმაციის მიღებას, საბოლოო ინფორმაციის ჩატვირთვას პროგრამულ ბაზებში. აწესებს მონიტორინგს შემოსულობების ფაქტიური შესრულების მიმდინარეობაზე;

4.4 სხვა შემოსავლების, მათ შორის მოსაკრებლების პროგნოზირებას, ამ შემოსავლების წლიური გეგმის და კვარტალების მიხედვით განწერის შესახებ შესაბამისი წინადადებების მომზადებას და საბიუჯეტო განყოფილებაზე გადაცემას;

4.5 შემოსულობების დამტკიცებული გეგმის შესრულების ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ოპერატიული ანგარიშების მომზადებას, სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ქ. თბილისის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მონაცემების შედარებას ბანკიდან მიღებული ამონაწერის მაჩვენებლებთან (ავიზოსთან) და გეგმის შესრულების ანგარიშის სახაზინო განყოფილებაზე გადაცემას;

4.6 მოთხოვნის საფუძველზე ახდენს:

ა) ქ. თბილისის მთავრობის სახელით დადებული და ქ. თბილისის ადგილობრივი ქონების (მინის) სარგებლობისა და საკუთრების უფლებით გადაცემაზე შემდგარი ვარიანტებით გათვალისწინებული თანხებისა და რიგ შემთხვევებში დარიცხული საურავის, პირგასამტეხლოსა და ჯარიმის თანხების გაანგარიშებას;

ბ) ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებულ წარმონაქმნების სარგებლობაში არსებულ ან/და თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფოს საკუთრების მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით ქ. თბილისის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი მინის საფასურის ოდენობის გაანგარიშებას;

გ) საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდებას შესაბამის საქალაქო სამსახურებზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შედეგად საურავებისა და ჯარიმების, აგრეთვე მოსაკრებლებისა და სხვა არასაგადასახადო შემოსავლების სახით, ქ. თბილისის ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების შესახებ.

5. სახაზინო განყოფილება ახორციელებს:

5.1 ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების ყოველდღიურ აღრიცხვას, რისთვისაც ყოველდღიურად ამუშავებს ბანკიდან მიღებულ ამონაწერებს (ავიზოებს), საგადახდო

მოთხოვნებს და უდარებს ბაზაში ფორმირებულ საგადახდო დავალებებს და საგადახდო მოთხოვნებს. უზრუნველყოფს ქ. თბილისის ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების დადგენილი წესით დაბრუნებას;

5.2 საბიუჯეტო ვალდებულებების დოკუმენტების მიღებას, მათ შორის:

ა) საბიუჯეტო ვალდებულებებისა და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილებიდან - ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების მიერ განსახორციელებელ გადასახდელებზე;

ბ) რაიონული გამგეობებიდან და სხვა მხარჯავი დაწესებულებებიდან - ქ. თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებულ გადასახდელებზე;

გ) წარმოდგენილი ვალდებულების დოკუმენტების სისრულის და სისწორის (ხელშეკრულებებისა და ვალდებულებების რეესტრთან შესაბამისობა; საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან შესაბამისობა) შემოწმებას და მათ ფორმირებას პროგრამულ ბაზებში;

დ) მერიის ხელმძღვანელობაზე წარსადგენად ვალდებულებების ყოველდღიური რეესტრის მომზადებას;

5.3 საგადახდო მოთხოვნების დოკუმენტების მიღებას აღებული ვალდებულებების შესაბამისად, მათ შორის:

ა) საბიუჯეტო ვალდებულებებისა და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილებიდან - ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების მიერ განსახორციელებელ გადასახდელებზე;

ბ) რაიონული გამგეობებიდან და სხვა მხარჯავი დაწესებულებებიდან - ქ. თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებულ გადასახდელებზე;

5.4 წარმოდგენილი საგადახდო მოთხოვნების დოკუმენტების რეკვიზიტების სისრულის შემოწმებას და მათ შედარებას შესაბამის ვალდებულებებთან;

5.5 რაიონული გამგეობებიდან და სხვა მხარჯავი დაწესებულებებიდან მიღებული საგადახდო მოთხოვნების შეტანას პროგრამულ ბაზებში და შესაბამისი საგადახდო დავალების ფორმირებას;

5.6 მომზადებული და შემოწმებული ვალდებულებებისა და საგადახდო მოთხოვნების ხელმოსაწერად ხელმძღვანელობისათვის წარდგენას;

5.7 ხელმძღვანელობის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების საფუძველზე რეესტრის მომზადებასა და ფორმირებას მომსახურე საბანკო დაწესებულებაში წარსადგენად, რომელიც ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან საგადახდო დავალების საშუალებით;

5.8 ქ. თბილისის ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადებას და უზრუნველყოფს დამტკიცებული ფორმების მიხედვით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დადგენილ ვადებში წარდგენას;

5.9 კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სახაზინო სისტემის ფუნქციონირების სრულყოფისათვის, ფინანსური აღრიცხვის მეთოდოლოგიისა და სახაზინო სისტემის სხვა პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წინადადებების მომზადებას;

5.10 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიღებულ წერილებზე და მოქალაქეთა განცხადებებზე დასკვნებსა და პასუხების მომზადებას;

6. საბიუჯეტო ვალდებულებებისა და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილება ახორციელებს:

6.1 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვაზე მომზადებული ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული თანხის ოდენობის შედარებას ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების შესაბამის რესურსთან და სამსახურის უფროსისთვის წარდგენას ვიზირებისათვის;

6.2 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის მიერ, შესაბამისი თანხები წერილით, მონოდებული ხელშეკრულებების რეესტრით მიღებას. რეესტრში მოცემულ და ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მონაცემთა შესაბამისობას;

6.3 მიღებული ხელშეკრულებებისა და ინსტრუქციით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების საფუძველზე, საბიუჯეტო რესურსების გათვალისწინებით, საბიუჯეტო ვალდებულების დოკუმენტის მომზადებას, რეესტრაციის მიზნით კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში შეტანას, და სამსახურის სახაზინო განყოფილებისთვის გადაცემას;

6.4 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე პასუხისმგებელი საქალაქო სამსახურებიდან წერილების მიღებას, რომელსაც თან ერთვის შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია;

6.5 წარმოდგენილ დოკუმენტაციის შემდეგი მონაცემების შემოწმებას:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ თანხის შესაბამისობას აღებულ ვალდებულებასთან;

ბ) სამუშაოების შესრულების ვადის შესაბამისობას ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ ვადასთან;

გ) ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერის არსებობას;

დ) რეკვიზიტების შედარებას ხელშეკრულებასთან;

6.6 სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე რეგისტრირებული საბიუჯეტო ვალდებულებიდან საგადახდო მოთხოვნის ფორმირებას, კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში შეტანას და სამსახურის სახაზინო განყოფილებისთვის გადაცემას ანგარიშსწორების განხორციელების მიზნით;

6.7 ინსტრუქციის შესაბამისად წინასწარი (ავანსი) გადახდის დოკუმენტაციის მომზადებას;

6.8 ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ დადგენილი წესის შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების მიერ განხორციელებული ფაქტიური ხარჯების, არაფინანსური აქტივებით, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ოპერაციების ყოველდღიურ აღრიცხვას;

6.9 სახაზინო განყოფილების მიერ ყოველდღიური საბანკო ამონაწერის დამუშავების შემდეგ და ყოველდღიური საკასო ხარჯების აღრიცხვას;

6.10 ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციისა და საქალაქო სამსახურების მიერ წარმოდგენილი სამუშაო მოვლენის დამადასტურებელი დოკუმენტების დროულ აღრიცხვას;

6.11 დადგენილი ფორმის შესაბამისად ქ. თბილისის მერიის ფინანსური ანგარიშების დადგენილ ვადებში შედგენას;

6.12 ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემი თანხების თავისდროულ დარიცხვას, უწყისების შედგენას და გასაცემას;

6.13 ბუღალტრული დოკუმენტების, აღრიცხვის რეგისტრების, ხარჯთანუსხების, მათი გაანგარიშების და სხვა საბუთების შენახვაზე კონტროლს და დადგენილი წესით არქივში ჩაბარებას;

6.14 საგადასახადო დეკლარაციის შედგენას და დადგენილ ვადაში საგადასახადო ინსპექციაში წარდგენას;

6.15 მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხებზე შესაბამისი ვალდებულების და საგადახდო მოთხოვნის მომზადებას, მონაცემთა ბაზაში შეტანას და სახაზინო განყოფილებაზე გადაცემას;

6.16 მეთოდოლოგიურ დახმარებას, მისი კომპეტენციის ფარგლებში, საქალაქო სამსახურებს და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს საბუღალტრო აღრიცხვა - ანგარიშების გაუმჯობესებისა და მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ხარჯვის დროს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების სწორად განხორციელების საკითხებზე;

6.17 მონერლოგების განხილვას და შესაბამისი ღონისძიების გატარებას, აუცილებლობის



შემთხვევაში საპასუხო წერილის მომზადებას და წარდგენას სამსახურის უფროსისთვის.

7. ანალიტიკური განყოფილება ახორციელებს:

- ა) Bბიუჯეტის პროგრამული ბაზების ზედამხედველობას და კორექტირებას;
- ბ) სისტემის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი სიტუაციების ანალიზს და შესაბამისი დარგისა თუ ორგანიზაციის კურატორთან განხილვას;

გ) Bბიუჯეტის შემოსულობების კომპიუტერული სისტემის ექსპლოატაციას - ცენტრალური ხაზიდან მიღებული შემოსულობების ყოველდღიური ელექტრონული ინფორმაციის სისტემაში ჩატვირთვის უზრუნველყოფას, შედარებასა და ანალიზს;

დ) Bბიუჯეტის შემოსულობების გეგმის შესრულების ეკონომიკური პარამეტრების ანალიზსა და ყოველი თვის შესრულების ანგარიშის შედგენას;

ე) სამსახურის საქმიანობის ნორმატიული ბაზის ცვლილებების დროს შესაბამისი კორექტივების შეტანას კომპიუტერული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში;

ვ) სისტემის მუშაობის თვალყურის დევნებას, სისტემის მუშაობის დროს წარმოქმნილ სიტუაციების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას პროგრამულ პროდუქტში;

ზ) სამსახურის თანამშრომლებისათვის კონსულტაციების განეგას კომპიუტერული სისტემის ათვისებაში. სისტემის პერმანენტული განვითარების უზრუნველყოფას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

მუხლი 5. სამსახურის მართვა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად სამსახურის უფროსი მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე იღებს გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად.

2. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას, უშუალოდ, მოადგილეებისა და განყოფილების უფროსების მეშვეობით, წყვეტს სამსახურის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) ქალაქის მერს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სამსახურის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, მუშაკთა სამუშაოზე მიღების, დათხოვნის ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

გ) აწარმოებს მოადგილეებს შორის ფუნქციებს;

დ) თვალყურს ადევნებს სამსახურის მოსამსახურეთა მოვალეობების შესრულებას და ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას. აგრეთვე, უზრუნველყოფს და ზრუნავს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

ე) დადგენილი წესით შეაქვს წინადადებები ქ. თბილისის მერთან, საკრებულოში და მთავრობაში სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საჭირო გადაწყვეტილებები-სა და სამართლებრივი აქტების მიღების მიზნით;

ვ) იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურისათვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივი გამოყენების თაობაზე და პასუხს აგებს ამ სახსრების ზუსტად და მიზნობრივად გამოყენებაზე. ზ) ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ქ. თბილისის მერის წინაშე.

თ) თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

კ) დადგენილი წესის მიხედვით იხილავს შემოსულ კორესპონდენციას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ლეზულობს მათზე გადაწყვეტილებას. ხელს აწერს დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენენ სამსახურის საქმიანობის საგანს;

ლ) მერისა და მთავრობის დავალებით წყვეტს სხვა საკითხებს, რომელიც შედის სამსახურის კომპეტენციის სფეროში.

3. სამსახურის უფროსს ჰყავს 2 მოადგილე, რომელთაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერი.

4. სამსახურის უფროსის მოადგილეები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევენ სამსახურის საქმიანობას, აკონტროლებენ სამსახურის უფროსის დავალებების შესრულებას და ასრულებენ სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებებს. ახორციელებენ განყოფილების მოსამსახურეთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

5. სამსახურის უფროსის ბრძანებით ერთ-ერთი მოადგილე ცვლის სამსახურის უფროსის მისი არყოფნის დროს.

6. სამსახურის განყოფილების უფროსი:

ა) აწარმოებს ფუნქცია-მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული განყოფილების მოსამსახურეებს შორის და აძლევს მათ სათანადო მითითებებს და განკარგულებებს;

ბ) ზედამხედველობას უწევს განყოფილების მოსამსახურეების მიერ მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

გ) ხელს აწერს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტაციას;

დ) სამსახურის უფროსს აბარებს განყოფილების მუშაობის ანგარიშს;

ე) წარმოადგენს განყოფილებას საკუთარი მოვალეობების შესრულებისას განყოფილების სახელით იძლევა სათანადო დასკვნებს;

ვ) ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის და უფროსის მოადგილეების წინაშე.

მუხლი 6. სამსახურის ქონება

სამსახურის ქონება წარმოადგენს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას. ამასთან, მის მფლობელობაში და სარგებლობაში გადაცემული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე საფინანსო რესურსები აისახება შესაბამის ბალანსში.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

1= ამ დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება ქ. თბილისის მერის ბრძანების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბანკსადავო ტენდერის ჩატარების შესახებ.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6) აცხადებს ორ ეტაპიან ტენდერს ორ ლოტად დაყოფილ საავტომობილო გზების, ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების (ინტელექტუალური მომსახურება) შესასყიდად და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ლოტი -N1: საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების, მცირე ზომის ხელოვნური ნაგებობების (რომელთა პროექტირება არ მოითხოვს რთულ საკვლევადიებო და საპროექტო გადაწყვეტას: მცირე ხიდები, მილები, გაბიონები, ძეღყორები, დამბები, საგზაო ნიშნები, თვალამრიდი ზღუდეები) და სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება.

ლოტი -N2: საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება.

2. მიწოდების ვადა 2009 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.

დაინტერესებულ პირებს გასანევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილებაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები, სადაც მოცემული იქნება ზოგადი მოსაზრებები გასანევი მომსახურების განხორციელების შესახებ და აღნიშნული იქნება ის ძირითადი სტანდარტები და ნორმები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება საპროექტო მომსახურების განხორციელება, ორგანიზაციის რაოდენობა, ქართულ ენაზე ღირებულების გარეშე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2009 წლის 2 თებერვლიდან 2009 წლის 3 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. N6.

წარმოდგენილ განცხადებაში სატენდერო კომისიის სახელზე მითითებული უნდა იქნას დაინტერესებულ პირს რომელ ლოტზე სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება.

პირველადი სატენდერო წინადადების პაკეტების გახსნა შედგება 2009 წლის 3 თებერვალს 17 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. N6.

დაინტერესებული პირების საკვალიფიკაციო მონაცემებსა და პირველადი სატენდერო წინადადებებს განიხილავს შესაბამისი საექსპერტო კომისია, რომლის დასკვნის საფუძველზეც სატენდერო კომისია ტენდერის პირველ ეტაპზე განსაზღვრავს პრედენტილებს.

პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასება.

ტენდერის მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია ინვესტ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისთვის დადგენილ პირობებს.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა - საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის

მსურველი პირის მიმართ ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია.

ბ) ცნობა - სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება

გ) ცნობა საჯარო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა :

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის, ფაქსის, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა იურიდიული სტატუსის შესახებ (იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამონაწერი სამწარმო რეესტრიდან);

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის(ბიუჯეტთან ანგარიშსწორების) შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სახის სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ, (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ცნობა ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ

ვ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

ზ) ინფორმაცია სუბ-კონტრაქტორის შესახებ. (მათი არსებობის შემთხვევაში, მოკლე დახასიათება სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ).

5. ა) ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

ბ) მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. ტენდერის მეორე ეტაპზე დაშვებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლება 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (დეპარტამენტის სპეც.ანგარიშზე რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი, ანგარიშის N897293000, ბანკის კოდი: 220101502, მიმღები აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-სახაზინო სამსახური. ს/კოდი-245444844, დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის) გადახდის შემდეგ, მისამართზე: ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, პირველი სართული ოთახი N16.

სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადა დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ და პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით, პირველი ეტაპის დასრულებიდან 2 დღის ვადაში.

პირველ ლოტზე შესაძლებელია როგორც ერთი გამარჯვებულის, ასევე ცალკ-ცალკე ლოტზე თითო გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის წევრი: კობა ხინკაძე ტ. 7-20-87; ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N6

სატენდერო კომისია

ბანკხაღება ორბიტაიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6) აცხადებს ორბიტაიანი ტენდერს 2009 წლისათვის დაგეგმილი სკოლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ინტელექტუალური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:
ლოტი №1 – ქ.ქობულეთის №1, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვას, ხელაფანაურის მუნიციპალიტეტის სოფლების ახალშენის №2 და ზედა წინსვლას, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების ახოს №1 და ოქტომბერის, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლების ნიგაზეულის და ხიჭაურის და ხელოს მუნიციპალიტეტის სოფლების რიყეთის და ავარას საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ინტელექტუალური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

ლოტი №2 – ქ.ბათუმის 21-ე სკოლა-ბანსონის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ინტელექტუალური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

3. ინტელექტუალური მომსახურების მიწოდების სავალდებულო ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 1 მაისამდე პერიოდს.

4. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი (აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სახანო სამსახური; საიდენტიფიკაციო კოდი – №245444844; სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი; ბანკის კოდი – 220101502; ანგარიში №897293000; დანიშნულება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი).

5. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ქართულ ენაზე) დალუქული პაკეტებით ექვს ეგზემპლარად (ერთი დედანი, ხუთი ქსეროასლი) და სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ორიგინალი).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 ოურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდისუნარიანობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან ოურიდიული მისამართის მიხედვით, ხოლო არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის შემთხვევაში მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით);

გ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან);

დ) ამონაწერს სამწარმოო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

6.2 მეწარმე ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდისუნარიანობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან ოურიდიული მისამართის მიხედვით).

6.3 როგორც მეწარმე ფიზიკური, ასევე ოურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დაგადასახების არქონის შესახებ;

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) ინფორმაციას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ; ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

№	დასახელება	ადწერილობა, მიღწევა, ტიპი, მარკა და გამოშვების წელი	დაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახშირი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა, იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი საჯარო ხელშეკრულებები
1					
2					
და ა. შ.					

დ) ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ, შესაბამისი დოკუმენტის (ხელშეკრულება) დართით;

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

№	გაწეული მომსახურების დასახელება (თითოეული ობიექტის მითითებით)	შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება	ხელშეკრულების, თარიღი, № და დირექტორის
1			
2			
და ა. შ.			

ე) ინფორმაციას ტენდერში მონაწილე ოურიდიული ან/და ფიზიკური პირის წამყვან სპეციალისტთა (იმ წამყვანი სპეციალისტების, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევით) კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

№	თანამდებობა, სპეციალობა,	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ მომსახურებაზე მუშაობის გამოცდილება (წელი)	ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიური მომსახურების გაწევის სამონათვალი ორგანიზაციების მითითებით)
1					
2					
და ა. შ.					

7. სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა) განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად. პრეტენდენტს მიეცემა დისკვალიფიკაცია, თუ მის მიერ წარმოდგენილი არ არის სატენდერო განცხადებით და საბაზისო მონაცემებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი ან წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება.

8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

9. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება დირექტორის გარეშე.

10. ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:

ა) პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე;

ბ) პირველადი სატენდერო წინადადება დირექტორის გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად.

გ) პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელდებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

11. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველმა 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი (აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სახანო სამსახური; საიდენტიფიკაციო კოდი – №245444844; სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი; ბანკის კოდი – 220101502; ანგარიში №897293000; დანიშნულება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი) უნდა გადაიხადოს პირველადი სატენდერო წინადადების მიღების ვადის გასვლამდე.

12. განაცხადი ტენდერში მონაწილეობაზე, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და წარმოდგენილი იქნას სატენდერო კომისიის აპარატში დალუქული პაკეტებით ექვს ეგზემპლარად (ერთი დედანი, ხუთი ქსეროასლი) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად (ორიგინალი) 2009 წლის 30 იანვრის 10 საათიდან 2009 წლის 30 იანვრის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6, III სართული, ოთახი №15; განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

დალუქული პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 30 იანვარს, 16 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6. (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).

13. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად შერჩევის შემდგომ, საექსპერტო დასკვნისათვის წარდგინდება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიის, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა მეორე ეტაპზე მოწვევის საფუძველს.

14. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესაფასებელი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

15. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის სუბტი თარიღი დამატებით ეცნობებათ პრეტენდენტებს საექსპერტო დასკვნის მიღების შემდეგ. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6 (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).

16. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, გაცემული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტის სატენდერო წინადადების დირექტორის 1%-ის ოდენობით. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

